



N2(5)/2007

აკაკია

საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

HOMO

საქართველოს აკაკიას საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს აკაკიას საარჩევნო ადმინისტრაცია

რედაქტორისაგან



1
2
3
ძრენიკა



უცხოეთი

უფლებები



4
საწოლში...
სახელმწიფოსთან
ერთად

ქანმრძალთა



6
თავდაცვის
საშუალებები

რეკორტაში



8
“აურზაური არაფრის
გამო”

თიმა



10

ისტორია



13

პომოსექსუალები
და მესამე რაიხი

ART

15
ოსკარ უაილდი -
“გემოვნების მეტაფიზიკა”



18

ბალანსირების პოლიტიკა
ევროპულ და ამერიკულ
კინემატოგრაფში



English Resume



ISSN 1512-2395
უკ (UDC) 316.023.4
341.234
კუტერი 846

ფუნალის
ელექტრონული ვერსია
განთავსებულია
ფონდ "ინკლუზივის"
ვებ-გვერდზე
www.inclusive-foundation.org
ან www.gay.ge

ფუნალში გამოქვეყნებული
მასალების
გამოყენების შემთხვევაში
აუცილებელია
წყაროს მითითება.

ფუნალი ვრცელდება
უფასოდ

გამოცემა დაფინანსებულია
პოლანდიის ეროვნული
ლგბტ ასოციაციის
COC Netherlands-ის მიერ.

გამომცემელი: ფონდი ინკლუზივი

სტამბა: შპს “სეზანი”
თბილისი,
წერეთლის გამზ.140
ტელ: 357002
lika@cezanne-web.com

ჩვენი ჟურნალის მეხუთე ნომერი ჰომოფობიის თემას ეძღვნება. თემის შერჩევა ორმა მნიშვნელოვანმა თარიღმა განაპირობა (17 მაისი - ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე და 1 ივნისი - საქართველოში ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაციის დღე). ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ 17 მაისის გამოცხადება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებას უკავშირდება, რომელმაც 1990 წლის 17 მაისს ჰომოსექსუალობა ფსიქიურ დაავადებათა სიდიდან ამოიღო. თუმცა, ამით ლგბტ ადამიანთა ბრძოლა თანაბარი უფლებებისათვის არ დასრულებულა. ამ დღის აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მიერ, რომელიც გმობს ადამიანთა დისკრიმინაციას რასობრივი, ეროვნული, კულტურული, რელიგიური თუ სხვა რამ ნიშნით, გარკვეულ ვალდებულებებს აყენებს იმ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებიც არასაკმარის ყურადღებას უთმობენ ჰომოფობიასა და ლგბტ ადამიანების მდგომარეობას ქვეყანაში.

2005 წლიდან 17 მაისს, როგორც ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს (International Day Against Homophobia - IDAHO) მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღნიშნავენ. ამ დღისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭების იდეა ფრანგ მეცნიერსა და მწერალს ლუი-ჟორჟ ტენს ეკუთვნის. გაეროში გაგზავნილ მიმართვას, ხელი ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლმა 10 000-ზე მეტმა აქტივისტმა მოაწერა მსოფლიოს 35 ქვეყნიდან. ამ მოთხოვნას, ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა.

ჰომოფობიის გამოვლენების თვალსაზრისით, XX საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი პერიოდაა ისტორიაში. ჰომოსექსუალები იდეგნებოდნენ და ისჯებოდნენ საბჭოთა კავშირში, ნაცისტურ გერმანიაში ამ ბრალდებით 100 000 -მდე ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვდა... დღესაც, XXI საუკუნეში მსოფლიოს ოთხმეტი ქვეყანაში ჰომოსექსუალობა კანონითაა აკრძალული და ისჯება (ზოგ ქვეყანაში, მაგალითად უგანდაში, ჰომოსექსუალობისათვის კანონი საშუალო პატიმრობას ითვალისწინებს). ათობით ქვეყანაში ჰომოსექსუალური აქტისათვის სიკვდილით სჯიან ადამიანებს (ავღანეთი, ირანი, საუდის არაბეთი...). იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ჰომოსექსუალობა დეკრიმინალიზებულია, ყოველდღიურად ფიქსირდება ძალადობის ფაქტები სკინ-ჰედებისა, სხვადასხვა ნეოფაშისტური დაჯგუფებების მხრიდან. ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის დაწესების მთავარი მიზეზი მსოფლიოში ლგბტ ადამიანთა დისკრიმინაციის ამ და სხვა მრავალ ფაქტზე ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა.

კამპანიებს, რომელიც 17 მაისთან დაკავშირებით იმართება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რამდენიმე მიზანი აქვს:

- * ლგბტ ადამიანთა მიმართ გამოვლენილ ნებისმიერი სახის ძალადობასთან (იქნება ეს ფიზიკური, მორალური თუ სიმბოლური) დაპირისპირება;
- * სოლიდარობის გამოხატვა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ მთელს მსოფლიოში
- * ადამიანთა უფლებების დაცვის უფრო ფართომასშტაბიანი კამპანიის ჩატარება.

ინკლუზივმა რამდენიმე ღონისძიება გამართა ამ დღის აღსანიშნავად. კერძოდ, გაიმართა საჯარო დებატები ჰომოფობიის თემასთან დაკავშირებით, კლუბში მოეწყო ფილმის "ცისარტყელას დასასრულის" ჩვენება, მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე რადიოგადაცემაში. ამ ღონისძიებებთან ერთად, ჟურნალის მთავარ თემად "ჰომოფობიის" შერჩევით გვსურდა გამოვხმაურებოდით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაგვემდინა ანტიჰომოფობიურ კამპანიას. ჟურნალი ივლისის დასაწყისში უნდა გამოსულიყო, თუმცა, ბოლო დროს დატრიალებული მოვლენების გამო, გადაწყვეტიეთ კორექტივები შეგვეტანა ჟურნალის შინაარსში და მცირე სტატიის სახით მაინც გამოვხმაურებოდით ქართულ მედიაში ატეხილ ისტერიას, რომელიც ჯერაც არ ჩამცხრალა და უფრო და უფრო პოლიტიზირებულ ხასიათს იძენს.



საქართველო / უსხოეთი

კანონმდობა

აპრილის თვეში ფონდის ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა აივ/შიდსის პროფილაქტიკის თემას. განხილული იყო ლგბტ ჯგუფთან მუშაობის სპეციფიკა. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ჯგუფთან ეფექტური მუშაობისას. აღინიშნა, რომ აუცილებელია სექსუალური ორიენტაციისა და მაღალი სარისკო ქცევის ერთმანეთისგან განსხვავება, რათა ჯგუფში არ მოხდეს სტიემის გადრმავევა და ამან თავის მხრივ უფრო ძნელად ხელმისაწვდომი და მოწყვლადი არ გახადოს ლგბტ ჯგუფი. მრგვალი მაგიდა გაიმართა გლობალური ფონდის მხარდაჭერით და მასში მონაწილეობა მიიღეს აივ/შიდსის პროფილაქტიკის სფეროში მომუშავე ორგანიზაცია-დაწესებულებათა უმრავლესობამ.

მაისში დასრულდა ლგბტ ჯგუფის სხვადასხვა სეგმენტში სექსუალური ქცევის თვისობრივი კვლევის პირველი ეტაპი. ჩატარდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების სერია ქალთა, მამაკაცთა და ტრანსგენდერ ჯგუფებში. კვლევის შედეგები გაანალიზების პროცესშია და საფუძვლად დაედება ჯგუფში უსაფრთხო სექსუალური ცხოვრების ხელშეწყობის ღონისძიებებს, რომლებიც მოგვიანებით განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ლგბტ ჯგუფის სხვადასხვა სეგმენტს ამგვარი კვლევა პირველად მოიცავს. კვლევები განხორციელდა ასოციაცია "თანადგომის" ექსპერტების მიერ.

ახალი ინიციატივები

ფონდი ინკლუზივის რეკომენდაციით ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა მხარდაჭერა მოიპოვა და შეუდგა ლესბოსელი და ბისექსუალი ქალებისთვის შემუშავებული პროექტის განხორციელებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალთა ზეპირი ისტორიების კვლევა, ჯგუფის კონსოლიდაციის ტრენინგი და ონალიან კონსულტაციები სექსოლოგთან და ფსიქოლოგთან. კითხვა-პასუხი გვერდი განთავსდება ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისა და ფონდის ვებგვერდებზე.

ილგა-ევროპასთან დაწყებული თანამშრომლობა შემდეგ ფაზაში შევიდა. ფონდმა მოიპოვა

მხარდაჭერა უკვე განხორციელებული და ახალი კვლევების გამოსაცემად. პუბლიკაცია, რომელსაც ერქმევა "ლგბტ ადამიანების მდგომარეობა საქართველოში: პირველი ნაბიჯები" შემოდგომაზე გამოვა.

აქცია

მაისში გამოვიდა ომბუდსმენის ოფისთან არსებული ყურნალ სოლიდარობის მორიგი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა სტატია ჰომოფობიაზე. სტატიას საფუძვლად უდევს დისკუსია, რომელიც ამ სფეროს ექსპერტებს შორის გაიმართა.

ყურნალი ცხელი შოკოლადში აქტიურად გამოეხმაურა ჰომოფობიის თემას. გენდერის ექსპერტის, ლელა გაფრინდაშვილის სტატიაში განხილულია პოლიტიკოსთა ჰომოფობიური გამონათქვამები, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე გაკეთდა ტელევიზიით.

ქართულმა მასმედიამ არ უღალატა ტრადიციას და გაზეთმა აღიამ აპრილში გამოქვეყნებული ინფორმაციის ფოთში "დაგემილი" და შემდეგ "ჩამოლილი" გეების თავყრილობის შემდეგ თბილისის "გეი ალუმზე" გაავრცელა ინფორმაცია. ყურნალისტმა "პარადი" ამჯერად ევროსაბჭოს ახალგაზრდულ კამპანიას დაუკავშირა. შედეგი მეტად დამაფიქრებელი აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ ჰომოფობია ძალზედ მწვავე პრობლემად დგას საქართველოში. ამ თემის შესახებ ვრცლად წაიკითხავთ ჩვენი ყურნალის რეპორტაჟის რუბრიკაში.

17 მაისი ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე

16 მაისს ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გაიმართა დისკუსია ჰომოფობიაზე, როგორც საზოგადოებრივ პრობლემაზე. მომხსენებლები შეეხნენ ამ ფენომენის კულტურულ და უფლებრივ ასპექტებს. აღინიშნა მედიის როლი ჰომოფობიის გავრცელებაში. აღნიშნული დისკუსია გაშუქდა რადიო "მწვანე ტალღის" ეთერიითაც.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უარი განაცხადა დოკუმენტური ფილმის, "ცისარტყელის დასასრულის" საკუთარი ეთერით ჩვენებაზე, რაც



ტექნიკური მიზეზებით ახსნა. მან ეთერში გაშვების წინა დღით გადაწყვიტა უარის თქმა, როდესაც ფილმი ტრანსლირებისათვის უკვე ადაპტირებული იყო. მაუწყებლისთვის ცნობილი იყო ფილმის ქრონომეტრაჟი და შინაარსიც. საზოგადოებრივ მაუწყებელს არ უპასუხია ჩვენი შეკითხვისთვის თუ როდის შეძლებდნენ ისინი ფილმის გაშვებას.

17 მაისი მთელი მსოფლიოში აღინიშნა

1990 წლის 17 მაისს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა ფსიქიური დაავადებების სიიდან ამოიღო. სწორედ ამ მიზეზით, 17 მაისი მსოფლიოს მასშტაბით ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღედ იქცა. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა და ადამიანის უფლებების კომისარმა თომას ჰამარბერგმა საჯაროდ დაემეს ჰომოფობია და ხაზი გაუსვეს იმ ნაბიჯების გადადგმის საჭიროებას, რაც ხელს შეუწყობს სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

ბაჰიჩი

მას შემდეგ, რაც გასულ წელს გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) ილგა ევროპას, დანიისა და გერმანიის ლგბტ ორგანიზაციებს კონსულტაციური სტატუსი მიანიჭა კიდევ ორი ორგანიზაცია განაგრძობდა მსგავსი სტატუსის მოსაპოვებლად. აქამდე, ამ ორგანიზაციების მცდელობები წარუმატებლად მთავრდებოდა, თუმცა საბოლოოდ მათ ამინც მოიპოვეს კონსულტაციური სტატუსი. შედეგითი ლგბტ ორგანიზაცია RFSL და კანადის კვებეკის პროვინციის ორგანიზაცია CGLQ შეუერთდა დანარჩენ სამ ორგანიზაციას, რათა უფრო ეფექტურად დაიცვან ლგბტ უფლებები გაეროში.

კვირისასაქართველოს ბანაყვანილობა

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში გამოიტანა განაჩენი საქმისა "ზაჩკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ". ლგბტ აქტივისტთა ჯგუფმა, რომელსაც 2005 წელს ვარშავის მაშინდელმა მერმა

(ახლანდელმა პრეზიდენტმა) ლეხ კაჩინსკიმ სოლიდარობის მარშის გამართვის უფლება არ მისცა. განაჩენში ნათქვამია, რომ ამ ღონისძიების აკრძალვა არღვევს ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის 11-ე, 12, და 14-ე მუხლებს, რომლებიც ეხება შეკრების თავისუფლებას, ეფექტური დაცვის განხორციელების უფლებასა და დისკრიმინაციის აკრძალვას. ეს პირველი გადაწყვეტილებაა, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანა.



თახაითი

თურქული კანონმდებლობა საშუალებას იძლევა შეიწყვიტოს ლგბტ ჯგუფის მოქმედება ქვეყანაში. ასეთი საფრთხის წინაშე დადგა ორგანიზაცია კოს-გლ 2005 წელს, როდესაც მის ოფიციალურ რეგისტრაციასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა. თუმცა ჯგუფმა მიაღწია იმას, რომ სახელმწიფო გადაწყვეტილებაში ჩაიწერა, რომ ლგბტ ორგანიზაცია არ შეიძლება ჩაითვალოს ამორალურად, ვინაიდან არსებობს მრავალი დოკუმენტი, რითიც დასტურდება, რომ სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაცია თვითონ არის ამორალური. წელს იგივე პრობლემა სტამბოლში მოქმედ ორგანიზაცია ლამბდა-ისტანბულსაც შეექმნა. კოს-გლ-მა გამოხატა სოლიდარობა სტამბოლის ორგანიზაციასთან და შეუერთდა ლამბდას ბრძოლას ოფიციალური სტატუსის მოსაპოვებლად.



სანოცში... სახელობისთან ერთად



ჰომოფობია ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ არის წახალისებული. ეს გამოიხატება, როგორც კანონშემოქმედებაში, ასევე სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, სიძულვილის ენაში და სხვა.

ამ შემთხვევაში მკითხველის ყურადღებას ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაციაზე შევაჩერებთ. ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაცია ან პირიქით შეზღუდვების მოხსნა მნიშვნელოვანი ინდიკატორია ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან ჰომოფობიის ხარისხის დადგენისათვის. საქართველოში ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია სულ რაღაც შვიდი წლის წინ, 2000 წლის 1 ივნისის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად მოხდა. ევროსაბჭოსადმი ნაკისრი ვალდებულებების თანახმად საქართველოს მამაკაცებს შორის ჰომოსექსუალურ აქტზე სასჯელი უნდა გაეუქმებინა.

ისტორიულად, იქ სადაც ყველაზე ადრე დაიწყო ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაცია დღეს ერთსქესიან პარტნიორებს შორის ქორწინებაც კი არის შესაძლებელი. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (პოლანდია, ბელგია...) ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან არსებობდა სასჯელი ჰომოსექსუალურ კავშირზე. დღეს კი ამ ქვეყნებში ჰომოსექსუალებმა სრულ სამოქალაქო თანასწორობასთან მიახლოებულ მდგომარებას მიაღწიეს.

საბჭოთა კავშირში ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაცია 1933 წელს მოხდა. გერმანიაში, 1936 წელს ჰიტლერმა გაამკაცრა კანონი. მას შემდეგ ყოველი ახალი დიქტატორული რეჟიმი აუცილებლად გამოყოფდა დისიდენტებს და ებრძოდა მათ. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მიმართვას სწორედ იმ ფაქტის გახსენებით იწყებს თუ როგორ შექმნა ეს-ეს-ის რაიხსფიურერმა ჰაინრიხ ჰიმლერმა გესტაპოს განსაკუთრებული განყოფილება ჰომოსექსუალობისა და აბორტების აღსაკვეთად: "სამოც წელზე მეტი გავიდა და არავის მოუხდია ბოდიში ამ სამარცხვინო და ტრაგიკული ფაქტისათვის. სამწუხაროდ, ცრურწმენების, დისკრიმინაციისა და თვალთმაქცობის კედელი არ გამქრალა და ევროპა უფრო ხშირად ჰომოფობების მიმართაა შემწყნარებელი, ვიდრე ჰომოფობიის მსხვერპლთადმი".

მსოფლიოს 85 ქვეყანაში ჰომოსექსუალური აქტი კვლავ ისჯება. 9 მათგანში ასეთი აქტი სიკვდილითაც კი ისჯება. ეს ქვეყნები, როგორც წესი მძიმე სოციალური პრობლემების წინაშე მდგომ დაბალგანვითარებული ქვეყნებია, ან ბუნებრივი რესურსების ხარჯზე განვითარებული ისლამური თეოკრატიები და დიქტატურები. წინამდებარე ანალიზი ემყარება მსოფლიოს ქვეყნების შიდა საკანონმდებლო სისტემების მონიტორინგის ილგა ევროპის მიერ 2007 წელს განაზღვრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანია ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაციის რიგი ასპექტებისა. პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მრავალ ქვეყანაში, სადაც მამაკაცებს შორის აქტი დასჯადია, არაფერია ნათქვამი ქალთა ჰომოსექსუალობაზე (საბჭოთა კავშირში, მამაკაცთა ჰომოსექსუალობისაგან განსხვავებით, ლესბოსელობა არ ისჯებოდა, მაგრამ მედიკალიზაციას ექვემდებარებოდა). ეს შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული თავისებურებებით. ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ქალებს შორის სექსი, მამაკაცის მონაწილეობის გარეშე არც



სანოღში... სანჯეღნიფოსთან ჯიღანე

აღიქმება სექსად. ეს კი სექსიზმის ჩვეულებრივ გამოვლინებად შეგვიძლია ჩავთვალოთ. თუმცა შეინიშნება ტენდენცია იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსებში ბოლო დროს შეაქვთ შესწორებები, როთაც ქალებს შორის სექსუალური კავშირის კრიმინალიზაცია ხდება.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ რიგი ქვეყნებში კანონები ხაზს უსვამს, რომ აქტი დასჯადია იმისდა მიუხედავად სად ხდება მისი განხორციელება - საზოგადოებრივ ადგილას (სასტუმრო, საუნა და სხვა) თუ სახლში. ამით სექსუელშიფო ფაქტიურად მისი მოქალაქეების სექსუალური ცხოვრების თანაზიარი ხდება.

როგორც წესი ისჯება ორ ზრდასრულ პიროვნებას შორის ნებაყოფლობითი კავშირი. განასხვავებენ დანაშაულის სიმძიმესაც. მაგალითად, ირანში უშუალო გენიტალური კავშირის გარეშე გამოხატული ალერსი 99 შოლტით ისჯება, ხოლო კოცნა კი 60 შოლტით. თუ ასეთი "მსუბუქი დანაშაული" განმეორებით ხდება ეს სასჯელის ზომას უფრო და უფრო ამძიმებს და მესამედ ან მეოთხედ გამეორებული ასეთი ქმედება უთანაბრდება გენიტალურ კონტაქტს და სიკვდილით ისჯება. შარიათის მოსამართლეს მხოლოდ იმის განსჯა ევალება თუ სიკვდილით დასჯის რომელი მეთოდით უნდა იყოს გამოყენებული. როგორც წესი მოკვდინება სასტიკად და დამამცირებლად ხდება. ჩამოხრცობა და ტომარაჩამოცმული მსჯავრდებულის ქვებით ჩაქოლვა ყველაზე გავრცელებული მეთოდებია.

ხშირ შემთხვევაში არ არის თანხმობა განსაზღვრებების დონეზეც კი. ზოგან ჰომოსექსუალურ აქტს უწოდებენ არაბუნებრივ კონტაქტს, ზოგან მამათმავლობას ან სოდომიას. თვით ამ ტერმინების განსაზღვრებაც არ არის ერთგვაროვანი. მაგალითად მრავალ ქვეყანაში ჰომოსექსუალობა და ზოოფილია ერთ მუხლში მოქცეული, როგორც ბუნების კანონების საწინააღმდეგო ქმედება და ერთნაირადაც ისჯება. სოდომიის განმარტებაც სხვადასხვაგვარია. ზოგან სოდომიას მამაკაცებს შორის სექსუალურ კონტაქტს უწოდებენ, ზოგან კი კონკრეტულად ანალურ აქტს, თანაც როგორც მამაკაცთან, ასევე ქალთანაც. ეს ფაქტი სამომავლოდ ძალიან საინ-

ტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ბიბლიური გადმოცემის ინტერპრეტაციების მრავალფეროვნებასთან და ურთიერთგამომრიცხაობასთან დაკავშირებით.

სასჯელი განსხვავებულია ბრალდებულთა აღმსარებლობიდან გამომდინარე. მაგალითად, საუდის არაბეთში თუ სექსუალური აქტი განხორციელდა არამუსლიმსა და მუსლიმს შორის ისჯება მხოლოდ არამუსლიმი. აქვე ნათქვამია, რომ ჰომოსექსუალურ აქტში დადანაშაულება შეუძლია 4 მუსლიმ მამაკაცს.

უმეტეს შემთხვევაში არ არის განმარტებული, თუ როგორ ხდება ასეთი კავშირების გამოვლენა ან მხილება. მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც სასჯელის უკიდურესი ზომებია გათვალისწინებული არსებობს დეტალური პროცედურები ჰომოსექსუალურ აქტში მხილებისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს ძირითადად 4 მუსლიმი მამაკაცის მიერ ხდება. თანაც საგანგებოდ აღინიშნება, რომ ქალის მიერ მხილება არ მიიჩნევა ბრალდების საფუძველად.

რიგ ქვეყნებში დაიწყო ამ მუხლებით პასიურად სარგებლობის პრაქტიკის გავრცელება. ამ ქვეყნებში არ ხდება უშუალოდ დაპატიმრება, არამედ არსებული მუხლები ხშირად გამოიყენება შანტაჟისათვის მათ შორის ძალიან მხრიდან. ამგვარ ზომებს ხშირად მიმართავენ პოლიტიკური და ბიზნეს მიზნების მისაღწევად.

ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაცია ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტს და დაკომბილია იმ სამყაროში, რასაც ჩვენ ცივილიზებულ მსოფლიოს ვუწოდებთ.





თავდასვის საშუალებები

პრეზერვატივი (ფრ. preservatif, ძველბერძნულისგან praeservo - დაცვა)

ძველბერძნული მითის მიხედვით, ზევსის და ევროპის შვილის, კრეტის მეფის მინოსის თესლში ქვეწარმავლები და მორიელები ბუღობდნენ. წარმოსადგენია რა ფატალურ ეფექტს ახდენდა ეს "სასიკვდილო კოქტეილი" მეფის მრავალრიცხოვან სექსუალურ პარტნიორებზე. ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ მეფის მორიგ სიყვარულს, მეფის მსახურის, ერექტიუსის ქალიშვილს არ მოუვიდა თავში აზრი თავდაცვის შესახებ, რისთვისაც მან ცხვრის შარდის ბუშტი გამოიყენა. შესაძლებელია, სწორედ ამგვარად, ჩვ.წ.აღ-მდე 3000 წელს შეიქმნა პირველი პრეზერვატივი, როგორც ბარიერული კონტრაცეპციის საშუალება.

არსებობს მოსაზრება, რომ პრეზერვატივის გამოგონებას ძველ ეგვიპტელებს უნდა ვუმაღლოდეთ. ამაზე მოწმობს კარნაკში (ეგვიპტე) ნაპოვნი ჩვ.წ.აღ-მდე 1350 წლით დათარიღებული ფრესკები, რომლებზეც გამოსახულ მამაკაცებს სასქესო ასოზე დეკორატიული ჩაჩები აცვიათ. კაიროს არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება ფარაონ ტუტანხამონის ტყავის ჩამოსაცმელი სასქესო ასოსთვის - სავარაუდოდ პრეზერვატივი (მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმებულა იმის თაობაზე, თუ რისთვის იყენებდნენ ძველი ეგვიპტელები ამ ჩამოსაცმელებს - როგორც კონტრაცეპციის საშუალებას, თუ როგორც მორთულობას. გარდა იმისა, რომ არქეოლოგების მიერ ნაპოვნი პრეზერვატივების ერთი ნაწილი ძვირფასი ქვებით იყო შემკული, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მისი გამოყენების შესაძლებლობას სქესობრივი აქტის დროს, ცნობილია, რომ ძველ ეგვიპტეში ეგვიპტელი ქალები კონტრაცეპციისათვის სპეციალურ, აკაციის წვენით გაჟღენთილ ტამპონებს იყენებდნენ).

პრეზერვატივის ფუნქციას ასრულებდა ასევე რომაული ცილინდრები სქესობრივი აქტისათვის, რომელიც მცენარეული ბოჭკოთი და ზეთით დამუშავებული მყარი მასალისაგან მზადდებოდა. რომაელ ლეგიონერებს კი ურიგდებოდათ ცხვრის ნაწლავის ცალმხარეს პირმოკრული ტოპრაკები.

პრეზერვატივის გამოყენება უფრო აშკარა ხდება ჩვ.წ.აღ-ით X საუკუნეში. ჩინელები იყენებდნენ ზეთით გაჟღენთილ აბრეშუმის ჩაჩებს, იაპონელები კუს ქერცლოვან ფირფიტებს, მოგვიანებით დარბილებულ ტყავს - "კავაგატა".

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ, პრეზერვატივები დიდი ხნით მიივიწყა ევროპამ. შუა საუკუნეებში, ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ევროპაში სიფილისი გავრცელდა, რომელიც კოლუმბის მეზღვაურებმა ჩამოიტანეს ამერიკიდან. სიფილისის მასობრივი გამოვლინება პირველად 1495 წელს დაფიქსირდა. 96 წელს დაავადება პრაქტიკულად მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა. 1512 წელს კი იაპონიას მიაღწია რუსეთის გავლით. გაჩნდა მოთხოვნილება პრეზერვატივზე არა როგორც კონტრაცეფციის საშუალების, არამედ დაავადებისაგან თავდასაცავად, რომელსაც "აბორიგენების შურისძიება" უწოდეს.



1564 წელს, როდესაც პალუას (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორმა, ქირურგმა და ანატომმა გაბრიელ ფალოპიუსმა, სელის ბოჭკოსგან დაამზადა და ბალახეული ეთერზეთებით და ნაყენით გაჟღენთა პატარა ტოპრაკი სასქესო ასოზე ჩამოსაცმელად სქესობრივი აქტის დროს. თავის



თავდასვის საშუალებები

ნაშრომში "DE marble dallico", ფალოპიუსი მიუთითებდა ამ საშუალების გამოყენების აუცილებლობას "ფრანგული დაავადების" (სიფილისი) თავიდან აცილების მიზნით. ვინ იცის, რამდენი ადამიანი გადაარჩინა ამ პროფილაქტიკურმა საშუალებამ იმ პერიოდში სასიკვდილოდ მიჩნეული ათამანგის (სიფილისი) ეპიდემიისგან. ფალოპიუსის შრომამ დაინტერესა ევროპის სამეცნიერო საზოგადოება, სელის ბოჭკოს ჩაენაცვლა დაბუშაგებულ თხელი ორგანული ქსოვილი. პირველი სერიული პრეზერვატივი გაყიდვაში 1712 წელს ქალაქ უტრეხტში გამოვიდა. უტრეხტში ამ დროს კონფერენცია ტარდებოდა, რომლის მონაწილე ჩინოვნიკებსა და დიპლომატებს თან "გალანტური ქალბატონები" ახლდნენ. სწორედ აქ დაიბადა ინტიმური ჰიგიენის საშუალებების წარმოების იდეა. პრეზერვატივი, რომელიც ძვირფას ბორდელებში გამოიყენებოდა კონტრაცეპციისათვის, მალე "არაკანონიერი" სექსის სიმბოლო გახდა. ელიტარულ "სათნობის სახლებში" მის გამოყენებას მიესალმებოდნენ, თუმცა, მაღალი ფასის გამო მისი ფართო მოსახლეობაში გავრცელება ვერ მოხერხდა.

ვენეციაში პრეზერვატივების გავრცელება აკრძალული იყო იმ მოტივით, რომ უწყესო ადამიანები შეძლებდნენ პრეზერვატივის გავრცელებას გოგონებში არასასურველი ფეხმძიმობისაგან თავდასაცავად. ეს კი, ხელისუფალთა აზრით, ხელს შეუწყობდა გოგონების მებაჟად ქცევას.

თანამედროვე პრეზერვატივის წინამორბედად და მის საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდების - "კონდომი" გამაგრებულად ითვლება ცხოველის ნაწლავისგან დამზადებული ნაკეთობა, რომელიც შექმნა XVIII საუკუნის ბოლოს, ინგლისის მეფის კარლ II-ის პირადმა ექიმმა, გვარად კონდუსმა. ეს საშუალება საკმაოდ პოპულარული გახდა ევროპის შეძლებულ ოჯახებში, განსაკუთრებით კმაყოფილნი იყვნენ გვირგვინოსანთა ოჯახის წარმომადგენლები, რომელთა არაკანონიერ შთამომავალთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. ტერმინი "პრეზერვატივი" სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა, ასე მოიხსენიებდნენ ამ ნაკეთობს ერთ-ერთ რეკლამაში, რათა ხაზი გაესვათ მისი ჰიგიენური და პროფილაქტიკური თვისებებისთვის.

თანამედროვე სტანდარტებს პრეზერვატივი 1839 წლის შემდეგ მიუახლოვდა, როცა კაუნუკის ვულკანიზაციის პროცესი აღმოაჩინეს. პრეზერვა-

ტივი ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის საშუალო ფენისთვის. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში პრეზერვატივის გაყიდვა აიკრძალა, მიზეზი: არასასიკეთო დემოგრაფიული სიტუაცია. მაგრამ, გაყიდვების აკრძალვის წინააღმდეგ გამოვიდა ქალთა საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც ამ აკრძალვაში ქალის უფლების - "უფლება გააჩინოს თუ არ გააჩინოს" - შელახვას ხედავდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, პრეზერვატივმა დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გამოყენების თვალსაზრისით; განსაკუთრებით ინგლისელ მეზღვაურებში, რომლებიც პრეზერვატივს წამოაცვავენ თოფის ლულას და ასე გადიოდნენ წყლიან ზონას, ან მასში ინახავდნენ საკვებს, თუთუნს და ასანთს. პრეზერვატივი ნელნელა საყოველთაო აღიარებას მოიპოვებდა, მაგრამ...

1961 წელს გაყიდვაში პირველი კონტრაცეპტიული ჰორმონალური აბები გამოვიდა. სამწუხაროდ ამ ნიშნის ქვეშ დაიწყო და გაიარა სექსუალურმა რევოლუციამ, 80-იან წლებისთვის მსოფლიო მოსახლეობის უმეტესობა თვლიდა, რომ ექიმ კონდომის გამოგონებამ თავისი დრო მოჰკადა. შედეგმა არ დააყოვნა...

აივ/შიდის ელვისებურმა გავრცელებამ გაზარდა პრეზერვატივის როლი ეფექტური პროფილაქტიკის სფეროში. დღესდღეობით გავრცელებულ სქესობრივი გზით გადადებ დაავადებისგან - აივ/შიდის, ვირუსული ჰეპატიტები, სიფილისი, გონორეა (ტრიპერი), ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, მიკო- და ურეაპლაზმოზი, ჰერპეს- და პაპილომავირუსული ინფექციები და სხვ. - თავის დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს პრეზერვატივი. მსოფლიომ მიაქცია ყურადღება, რომ პრეზერვატივი არა მხოლოდ ჩასახვის საწინააღმდეგო, არამედ დაავადებისგან თავდაცვის საშუალებაცაა.

მასალა მოამზადა საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიურმა ცენტრმა "თანადგომა"



"აუხზაუხი ახაფხის ბაშო"

კამპანიის - "ყველა განსხვავებული - ყველა თანასწორი" - გარშემო მედიაში ატეხილმა არაჯანსაღმა აჟიოტაჟმა და კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ერთ-ერთი ღონისძიების გეი ალლუმად მონათვლამ, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. აქცის ორგანიზატორთა არაერთგზის მიცემული განმარტების მიუხედავად, საზოგადოების ერთ ნაწილს მტკიცედ სჯერა, რომ კამპანია, რომელიც ევროსაბჭოს ეგიდით უკვე 12 წელია იმართება და მიმართულია "რასიზმის, ანტისემიტიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად", მინაცვადამინც თბილისში "დაგეგმილი" გეი ალლუმის შესანიღბავად იყო წამოწყებული.

"ფლობდე მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნიშნავს გქონდეს ძალაუფლება; უნარი, განასხვავო მნიშვნელოვანი ინფორმაცია უმნიშვნელოსაგან, კიდევ უფრო მეტ ძალაუფლებას განიჭებს; შესაძლებლობა გაავრცელო მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკუთარი რეჟისურით ან არაფერი თქვა მის შესახებ, ნიშნავს, რომ ორმაგ ძალაუფლებას ფლობ". (1) ასე აფასებენ გერმანელი პოლიტოლოგები მედიის როლსა და შესაძლებლობებს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების პროცესებში. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა თუ რა შეუძლიათ მათ, ვინც "ორმაგ ძალაუფლებას" ფლობენ.

სასაჩხედიო ხანოზა

ტყუილის თქმის სურვილი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ნებისმიერ შემთხვევაში, ფსიქოლოგთა აზრით, ეს ერთგვარი მეთოდია სასურველი რეალობის შექმნისა, რომელიც განსხვავებულა არსებულისაგან. ფსევდორეალობის მოდელირების პროცესში მედიას უამრავი საშუალების გამოყენება შეუძლია. ერთ-ერთი ასეთი ხერხია ორი სხვადასხვა მოვლენის ხელოვნურად დაკავშირება ერთმანეთთან. სხვა საკითხია, თუ რა ამოძრავებს კონკრეტულ ჟურნალისტს, როცა ევროსაბჭოს კამპანიას თბილისში "გეი-პრაიდის" მოწყობის წინასწარაკვიატებულ იდეას უკავშირებს. "ალიამ" წელს უკვე მესამედ სცადა საზოგადოების "დაშინება" გეი ალლუმით, რომელიც თურმე ხან ფოთში უნდა გაიმართოს და ხან თბილისში. ამასთან, როგორც წესი, სტატიაში მითითებულია, რომ გაზეთი საკუთარ "კულუარულ ინფორმაციზე" დაყრდნობით ავრცელებს ამ ჭორებს: "ალიას" კულუარული ინფორმაციით, მისში დიდი ფორუმი გაიმართება... <> "ალიას" რესპოდენტი ტატო გვარწმუნებს, რომ მისში ზღვისპირა ქალაქში საქართველოში გავრცელებული ყველა სექსუალური მიმდინარეობის წარმომადგენლები შეიკრიბებიან, დაწყებული გეებით, დამთავრებული ლესბოსელებით". (2) "საქართველოში გავრცელებულ სექსუალურ მიმდინარეობებზე" რომ აღარაფერი ვთქვათ, დეზინფორმაციის გავრცელების გამო, გადავწყვიტეთ დავკავშირებოდით გაზეთის რედაქციას და ინფორმაციის წყაროს დაზუსტება მოვთხოვეთ, რაზედაც, რედაქციამ უარი განაცხადა. დაახლოებით ერთ კვირაში კი "ალია" ისევ დაუბრუნდა თემას და ერთგულ მკითხველს აცნობა, რომ ფოთში ალლუმი აღარ ჩატარდება.

გეი ალლუმებთან დაკავშირებული პროვოკაციის მსხვერპლი გასული წლის ნოემბერშიც გავხდით, როდესაც ჟურნალ "მესთან" დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუს, P.S.-ის ჟურნალისტმა, ნიუ-იორკის გეი პრაიდის კადრები მაიწება და "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს"

მიმართა კითხვით: როგორ მოიქცევით, თბილისში რომ გეი-პრაიდი ჩატარდესო. ამ შემთხვევაში ჟურნალისტის მიერ მოდელირებული სასურველი "რეალობა" - დაბირისპირებისა და კონფლიქტების პროვოცირების მცდელობა - ადვილად ამოსაკითხია. "იმედის" ჟურნალისტი, რომელმაც "29 ივლისს დაგეგმილ გეი ალლუმზე" მოაზადა სიუჟეტი, უფრო შორს წავიდა და "გვიკარნახა" კიდევაც ეკრანიდან, როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში (სიუჟეტში ნაჩვენებია იყო მოსკოვში გეი პრაიდის დარბევის ამსახველი კადრები). მოვლენათა განვითარებით შემოფოთებულმა აქციის ორგანიზატორმა და ევროსაბჭოს წარმომადგენელმა შესაბამისი განცხადება გააკეთეს და იმავე მედია-საშუალებებით აცნობეს საზოგადოებას, რომ დაგეგმილ აქციას არაფერი ჰქონდა საერთო გეი-ალლუმთან. თუმცა, ინციდენტი ამით არ ამოწურულა.

"თუ ბინდა ბაჩხოძეს, უნდა აიოჯიო"

ჟურნალისტის ამოცანა აუდიტორიისათვის მიუკერძოებელი, დაუმახინჯებელი ინფორმაციის მიწოდებაა. ჟურნალისტების მიუკერძოებლობაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. თუმცა, როცა ჟურნალისტი საკუთარი ფობიების პროვოცირებას ახდენს ამა თუ იმ მოვლენაზე ან კონკრეტულ ადამიანზე, მისი მსხვერპლი, კონკრეტული რესპოდენტის გარდა, მთელი საზოგადოება ხდება. მითუმეტეს, როცა საზოგადოებაც ფობიებითაა შეპყრობილი - იელოველები რწმენას გვართმევენ, ჩინელები - სამუშაო ადგილებს, აზერბაიჯანელები "ჩვენს ჯინაზე" აჩენენ ბავშვებს, სომხები - ისტორიას გვიყალობენ და ასე დაუსრულებლად. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე მედიის ასეთი თავგამოღება კიდევ უფრო ადვილებს ქსენოფობიის შემოტევებს. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის "ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორის" ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა მრავალჯერ უარყვეს კამპანიის კავშირი გეი-პრაიდთან, შემდეგ კი საერთოდ უარი თქვეს კამ-



"აუხზაუხი ახაფხის ბაიო"

პანიის ჩატარებაზე, საზოგადოების ექსტაზში ჩავარდნილი ნაწილი აქტიურად აგრძელებდა გეგმის შემუშავებას - როგორ დაარბევდნენ არარსებული ალუმის არარსებულ მონაწილეებს. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტების მიერ მოდელირებული ფსევდორეალობა საზოგადოების ჰომოფობიური ნაწილის მოთხოვნის ადექვატური აღმოჩნდა.

ჰომოფობია, ხომოხს ჰომინიზაჰი ბიძონის იაჰალი

"ალიაში" გამოქვეყნებული წინა ორი სტატიისაგან განსხვავებით ამჯერად ირაკლი მამალაძის "ჟურნალისტური გამოძიების" შედეგებს მხოლოდ "რუსთავი 2-სა" და "იმედის" ჟურნალისტები არ გამოხმაურებიან. ვფიქრობ, "სკანდალურობის" გარდა ჟურნალისტთა ამგვარი დაინტერესება თემით სტატიაში გაკეთებულმა მინიშნებებმა გამოიწვია: "არაოფიციალური ინფორმაციით, სააკაშვილის მთავრობასთან შეთანხმებით, თბილისში გრანდიოზული გეი-პარადი ჩატარდება... <> ისე, თბილისში პუტინის დაცინოდნენ, როცა მოსკოვში გეების თავყრილობა დაარბია - სექსუალური უმცირესობის უფლებებს აღდევს... ვნახით, გახდება თუ არა თავად სააკაშვილი დაცინვის საგანი". (3) "ალიას" მიერ აგორებულმა ისტერიამ ნელ-ნელა სხვა ფორმა მიიღო. თემით სპეკულირება უკვე პოლიტიკურმა ძალებმა და ცალკეულმა ინსტიტუტებმა დაიწყეს.

დებინფორმაციას საქართველოში გეი-პარადის ჩატარების შესახებ შესაშური ოპერატიულობით გამოეხმაურნენ ცალკეული რუსულენოვანი მედია საშუალებები. საინფორმაციო სააგენტოს "როსბალტის" ინფორმაციებთან ერთად (□ □□□□□ □□□□□□ □□□□□□ □□□□□□; □□□□□□ □□ □□□□□□ "□□□□□ □□□□□□□□□□" □ □□□□□), ინტერნეტ გამოცემის "რუსეთის საიდუმლო მასალების" (4) ვებ-გვერდზე გამოჩნდა ვინმე გენადი ყარყარაშვილის სტატია: "□□□□□□□□ □□□□□ □□□□□□□□ □□□□□□", სადაც სააკაშვილის გარდა სანაკოვეც "გაიყვანეს" საქმეში.

23 ივლისს, არარსებული ალუმის თემას საპატრიარქოც გამოეხმაურა, გამოხატა "ეკლესიის პოზიცია ჰომოსექსუალიზმისადმი" და ხელისუფლება და აქციის ორგანიზატორები "შესაძლო ფიზიკური დაპირისპირების შესახებ" გააფრთხილა. "სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის" წარმომადგენლებმა, რომელთაც აქცია ჯერ საპატრიარქოსთან გამართეს, 29 ივლისს კი ვერის ბაღში შეიკრიბნენ "ცოდვილებისათვის" ცხვირ-პირის დაჟეჟვის მიზნით (!), გამოაცხადეს, რომ მათთვის ცნობილია იმ ადამიანთა სახელები ვინც კანცელარიიდან და პარლამენტიდან ლობირებს ჰომოსექსუალებს: "შჯერა, რომ ეს იდეა კანცელარიიდან მოდის. ჰომოსექსუალების ალუმში არსებული რეჟიმის მიერაა დაგეგმილი, ვინაიდან მათ ასეც სურთ, მსოფლიოსა და ევროსაბჭოს მოაჩვენონ,

საქართველოში დემოკრატია ვითარდება და ადამიანის უფლებები დაცულიაო, სანაცლოდ კი იქიდან გრანტები მიიღონ". (5) ალუმის მოწყობასთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირეს ირაკლი წერეთელმა, ჩონაში გამოწყობილმა კავშირგაბმულობის ყოფილმა მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ და საპატრიარქოს ყოფილმა პრეს-მდივანმა გიორგი ანდრიაძემაც. პროტესტი ორგანიზაცია "ქართული აზრის" წარმომადგენლებმაც გამოთქვეს.

თუ თვალს მივადევნებთ ჰომოსექსუალობის თემის გააქტიურების დინამიკას ბოლო წლებში, ადვილად შესამჩნევია, როგორ ჰგავს ეს ყველაფერი 7-9 წლის წინანდელ მოვლენებს, როდესაც პოზიცია-ოპოზიციის სახელისუფლებო ბრძოლაში ჰომოსექსუალობის თემით სპეკულირება პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენდა. საინტერესოა იმის გასწავლაც, თუ კონკრეტულად რომელი ძალები ახდენდნენ ამ თემით სპეკულირებას. მოსკოვიდან საგანგებო მისიით ჩამოსული ვახტანგ ჭკუასელთან ერთად, "ცისფერთა შეთქმულების" მითის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას ფსევდოპოზიციის ("აღორძინება") და პოზიციის პრორუსული ძალების წარმომადგენლებიც იღებდნენ ("სოციალისტების" თავმჯდომარეს საფერფლითაც კი გაუტეხეს თავი ამის გამო).

პარალებები აშკარაა. მსახიობები იცვლებიან, ფაბულა და რეჟისორი კი უცვლელი რჩება. ეთნიკური წარმოშობა აქტუალური აღარაა. სამაგიეროდ, როგორც საცდელმა ექსპერიმენტმა აჩვენა, ჰომოფობიური განწყობა საკმარისად ძლიერია ქვეყანაში, რაც საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. მოსალოდნელია, რომ წინასაარჩევნო პროცესის მოახლოებასთან ერთად, თემა უფრო და უფრო აქტუალური და პოლიტიკურად დატვირთული გახდება.

ეკა აღდგომელაშვილი

(1) *Politikwissenschaft: eine Grundlegung. Bd. 2. Stuttgart; Berlin; Köln; Mainz: hrsg von Klaus von Beume. 1987. P. 60.*
(2) გაზეთი "ალია". № 41. 12-13 აპრილი, 2007 წელი. "ფოთში ცისფერები და ლესბოსელები საიდუმლო შეკრებისათვის ემზადებიან"
(3) გაზეთი "ალია". № 82, 17-18 ივლისი, 2007 წელი. "პედერასტები" თბილისში "პარადისათვის" ემზადებიან"
(4) <http://informacia.ru/>
(5) გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". №140. 21.07.2007. "ფერადოვანი" ალუმში თბილისში? ეს იდეა კანცელარიიდან მოდისო!



ჰომოფობია

ევროპარლამენტის 2006 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში ტერმინი ჰომოფობია ასეა განმარტებული: "ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალობისა და ტრანსგენდერები ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმსა და სექსიზმისა" (1). ჰომოფობიის, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმის ერთ რანგში განხილვა ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმ სოციალური და ფსიქოლოგიური მექანიზმების მსგავსებაზე, რომლითაც აღიწერება თვითოეული ეს მოვლენა და მეორე მხრივ, ხაზს უსვავს ჰომოფობიასთან, როგორც საშიშ სოციალურ პრობლემასთან ბრძოლის მნიშვნელოვანებასა და აუცილებლობას.

მეცნიერებმა მხოლოდ 70 ათიან წლებში დაიწყეს ჰომოფობიის შესწავლა. მას შემდეგ, რაც 1973 წელს, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ ჰომოსექსუალობა ფსიქიკურ დაავადებათა სიდან ამოიღო, მეცნიერები სერიოზულად დაინტერესდნენ მიზეზებით, რომელიც განაპირობებს ძლიერ ნეგატიურ განწყობას ჰომოსექსუალობის მიმართ.

სოციალური ან კულტურული ფაქტორები

იმ შიშის ან ზიზღის აღსაწერად, რომელსაც ადამიანები გეების ან ჰომოსექსუალური ქცევის მიმართ განიცდიან ტერმინი ჰომოფობია პირველად ფსიქოთერაპევტმა ჯორჯ ვაინბერგმა გამოიყენა. ვაინბერგი ამ მოვლენას ისევე აღწერდა როგორც ჩვეულებრივ ფობიას: "ჰომოფობია, ეს ჩვეულებრივი ფობიაა. ავადმყოფური და ირაციონალური შიში, რომელიც ვლინდება ირაციონალურ ქცევაში, ადამიანის სურვილში - გაანადგუროს წყარო, რასაც მისი შიში უკავშირდება. ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შიშის წყაროს ადამიანები წარმოადგენენ, ჰომოფობიური რეაქცია ძალიან ხშირად სასტიკი მოპყრობაში ვლინდება". (2) ვაინბერგის მიერ შემოტანილი განსაზღვრება უფრო ინდივიდუალურ ანტი-ჰომოსექსუალურ განწყობას აღწერს და სრულად ვერ გამოხატავს ჰომოსექსუალობის მიმართ კოლექტიური დამოკიდებულების შინაარსს; ფობია ადამიანის პიროვნულ, ხშირად გაუცნობიერებელ შიშს უფრო ჰქვია, აქ კი საქმე გვაქვს საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის განწყობასთან "უმცირესობის" მიმართ, რომელიც საკმაოდ გააზრებულია.

კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც საზოგადოების დამოკიდებულების აღსაწერად გამოიყენებოდა და ნეგატიური განწყობის სხვა გამოვლინებებთან (რასიზმი, სექსიზმი, ანტისემიტიზმი) პარალელურად მიუთითებდა, "ჰეტეროსექსიზმი". იგი აღწერდა იმ იდეოლოგიურ სისტემას, რომელიც უარყოფს, ცილს სწამებს და ღვენის არაჰეტეროსექსუალური ქცევის ნებისმიერ ფორმას, პიროვნებას, ურთიერთობას ან საზოგადოებას. (3)

მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით, ყველაზე მორგებული ტერმინი მაინც სექსუალური წინასწარგანწყობა (prejudice), რომელიც აღწერილობითი ტერმინია და სექსუალური ორიენტაციის გამო (ჰომო, ჰეტერო, ბისექსუალების მიმართ) უარყოფით დამოკიდებულებას აღნიშნავს. (4)



ჰომოფობიის განსაზღვრება იმ მნიშვნელობით, რომლითაც დღეს იყენებენ, უფრო ფართოა, ვიდრე ვაინბერგისეული ტერმინი და პრაქტიკულად, მოიცავს ჰეტეროსექსიზმსაც და სექსუალურ წინასწარგანწყობასაც: "ჰომოფობია წარმოადგენს წინასწარგანწყობაზე დაფუძნებულ ირაციონალურ შიშსა და სიძულვილს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალობისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმსა და სექსიზმისა".

ჰომოფობიის ფსიქოლოგიური საფუძვლები

ბოლო პერიოდამდე, როგორც წესი, მეცნიერები ჰომოფობიის გავლენას სწავლობდნენ ლგბტ ჯგუფსა და მის თვითოეულ წევრზე და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის შესწავლას, მისი წარმოშობის მიზეზებისა და დამღვივების ძიებას. ხშირად იგივე ხდება, როდესაც ვსაუბრობთ სექსიზმის, რასიზმისა და ანტისემიტიზმის შესახებ.

შესწავლისა და ანალიზის თვალსაზრისით, ყურადღების ცენტრში ყოველთვის ექცევა დისკრიმინირებული ჯგუფი, რაც ხელს უწყობს ჯგუფის სტიგმატიზაციას, როგორც მსხვერპლისა. ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მხოლოდ დისკრიმინირებული ჯგუფის ან კონკრეტული ადამიანის პრობლემაა და არა მთელი საზოგადოებისა. შედეგად, ყალიბდება მცდარი აზრი, რომ სექსიზმი, ანტისემიტიზმი, რასიზმი და ჰომოფობია ზემოქმედებს და ენებს მხოლოდ იმ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული ეს პრაქტიკა და გავლენას არ ახდენს მის მატარებელზე ან ჯგუფზე.

ამ თავში, შევეცდებით გაჩვენოთ, თუ რა რა ფსიქო-სოციალური საფუძვლები გააჩნია ჰომოფობიას, რა უწყობს ხელს მის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ დონეზე.

პირველი თვლის, რომ ინდივიდუალურ დონეზე გეებისა და ლესბოსელების მიმართ წინასწარგანწყობას ხშირად



ჰომოფობია

საფუძვლად უდევს ადამიანის სურვილი აიმაღლოს თვითშეფასება სხვა ადამიანის დამცირების ხარჯზე, ლამტიკოს/გააძლიეროს მიკუთვნებულობა რომელიმე სოციალურ ჯგუფთან. მაგ. ეკლესიის წარმომადგენელი, რომელიც ანათემას გადასცემს ჰომოსექსუალებს, ამით ამტიკიცებს თავის რელიგიურ იდენტობას; მეორე ადამიანმა შეიძლება ბინძურად იხუმროს გეების ან ლესბოსელების შესახებ, რათა მეგობრების (ოჯახის წევრების, მეზობლების...) კეთილგანწყობა მოიპოვოს.

გარდა ამისა, წინასწარგანწყობების შენარჩუნება გეებისა და ლესბოსელების მიმართ ზოგ ადამიანს ეხმარება მოახდინოს საკუთარი არაადექვატურობის კომპენსირება და დაძლიოს შინაგანი ფსიქიური კონფლიქტი. გეებისა და ლესბოსელების განტევების ვაცად ქცევით, ზოგიერთი ჰეტეროსექსუალი ცდილობს გადალახოს საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობა. გეებსა და ლესბოსელებზე თავდასხმით, ეს ადამიანები საკუთარი გრძნობებისაგან დისტანცირებისათვის ამ გრძნობების პროეცირებას ახდენენ სხვაზე. ეს კი შეიძლება განვიხილოთ როგორც ტიპური ფობიური რეაქცია. (5)

უნდა აღინიშნოს, რომ ჰომოფობია ინდივიდუალურ დონეზე მუდავნდება მაშინ, როდესაც ინდივიდის მოთხოვნები იკვეთება კულტურულ იდეოლოგიურ შეხედულებებთან ჰომოსექსუალობაზე. ინდივიდისათვის ანტიჰომოსექსუალური განწყობის გამუდვანებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ საკუთარი თავის აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთი სოციალური ჯგუფის წევრობასთან, რომელიც უარყოფს ჰომოსექსუალებს/ჰომოსექსუალობას. (6)

საზოგადოებაში ჰომოფობიის ხარისხზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ჯგუფური (საზოგადოებრივი) იდეოლოგია, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული პროცესები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი ლიდერებისა და მასმედის პოზიციაც საკითხთან მიმართებაში.

აკადემიკოსი კონი შემდგენაირად აღწერს იმ მაკრო-სოციალური ფაქტორებს:

1. სოციალური და კულტურული შემწყნარებლობის ზოგადი დონე საზოგადოებაში. ავტორიტარიზმი და შეუმწყნარებლობა განსხვავების მიმართ შეუთავსებელია როგორც სექსუალურ, ისე სხვა ყველაწარმოადგენელ პლურალიზმთან. ტოტალიტარული აზროვნებისათვის, ადამიანი, რომელსაც "სხვაგვარად" უყვარს, პირველ რიგში იმიტომბა საშიში საზოგადოებისათვის, რომ დისიდენტია. საზოგადოება, რომელიც ცდილობს შარვლის სიგანისა და თმების სიგრძის უნფიცირებას, ვერც "განსხვავებული" სექსუალობის მიმართ იქნება შემწყნარებლური.

2. სექსუალური შფოთვის მაღალი ხარისხი. რაც უფრო ანტისექსუალურია კულტურა, მით უფრო მეტია მასში სექსუალური ტაბუები და შიშები. ასეთ სიტუაციაში, ადამიანისაგან, რომელსაც არ შეუძლია მიიღოს თავისი სექსუალობა, გულუბრყვილობა იქნება ველოდოთ შემწყნარებლობას სხვის მიმართ.

3. სექსიზმის, გენდერული და სქესობრივი შოვინიზმის დონე საზოგადოებაში. აგრესიული მასკულიზმის კულტი მხოლოდ ქალების წინააღმდეგ როდია მიმართული. ის ხელს უწყობს ამგვარი იერარქიული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განმტიკიცებას მამაკაცთა საზოგადოებაშიც. ამის მკაფიო მაგალითები უხვდაა იზოლირებულ სივრცეებში, როგორცაა ციხე ან ჯარი. (ამერიკელი სოციოლოგის, მაიკლ კიმელის არით, ჰომოფობია გამოხატავს არა იმდენად შიშს მამაკაცი ჰომოსექსუალის მიმართ, რამდენადაც ზოგადად სხვა მამაკაცების მიმართ).

4. ტრადიციული იდეოლოგიის ხასიათი, განსაკუთრებით რელიგია და მისი დამოკიდებულება სექსუალობასთან.

5. საზოგადოების სექსუალური კულტურისა და განათლების ზოგადი დონე. თუმცა, თავისთავად განათლება არ ათავისუფლებს ადამიანებს ცრურწმენებისაგან და წინასწარი განწყობებისაგან. თუმცა, გარკვეულ სიტუაციაში ეხმარება მათ დაძლევაში.

6. სოციო-პოლიტიკური ფაქტორები. ისევე როგორც სხვა სოციალური ფობიები და ჯგუფური სიბუღილის გამოვლინების ფაქტები ძლიერდება, ჰეტეროსექსიზმი ძლიერდება სოციალური კრიზისების დროს, როცა ვინმეს სჭირდება ხილული მტრის ხატი ან განტევების ვაცის პოვნა და ადვილად შესაძლებელია მორალური პანიკის შექმნა. (7)

ყველა ეს ფაქტორი დაკავშირებულია ერთმანეთთან, ისინი კომპლექსურად მოქმედებენ და საბოლოო ჯამში განაპირობებენ ჰომოფობიის დონეს როგორც ცალკეულ ინდივიდებში, ისე მცირე სოციალურ ჯგუფებსა თუ საზოგადოებაში მისი სოციალურ-ისტორიული განვითარების კონკრეტულ ეტაპზე.

ჰომოფობიის გამოვლინების ხარისხისა და სიმძაფრის შესაფასებლად ხშირად სარგებლობენ გორდონ ოლპორტის (8) მიერ შემუშავებული შკალით:

1. ვერბალური უარყოფა (ლესბოსელებისა და გეების მიმართ შიშისა და ზიზღის საჯაროდ გამოხატვა ვერბალურად; ბინძური ხუმრობები და დამამცირებელი მეტსახელების გამოყენება);

2. დისკრიმინაცია (თანაბარი უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმა ლგბტ ადამიანებისათვის; მათი არაღიარება, როგორც თანასწორუფლებიანი მოქალაქეებისა)

3. ფიზიკური ძალადობა (ცემა, სექსუალური ძალადობა, მკვლელობა)



ჰომოფობია

ინსტიტუციონალური ჰომოფობია

საზოგადოებაში არსებული ჰომოფობია მძიმედ აისახება ლგბტ ჯგუფის წევრებზეც. მთლიანი ჯგუფის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს ჯგუფის წევრთა თვითშეფასებაზე, რაც შეიძლება სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდეს. თავდაცვის მიზნით ბევრი ჰომოსექსუალი ახდენს ჰეტეროსექსუალური ქცევის იმიტაციას; ბევრი მათგანი მთლიანად იკეტება ჯგუფში და ამჟღავნებს ავადებულ დამოკიდებულებას ჰეტეროსექსუალთა მიმართ (ჰეტეროფობია), ზოგი განიცდის სიამაყის ჰიპერტროფირებულ გრძობას საკუთარი ორიენტაციის გამო და სხვ. თავის მხრივ, დაბალი თვითშეფასება შეიძლება გამოჰქაფდეს ავტოაგრესიულ მოქ-



მედებებშიც (ნარკოტიკები, ალკოჰოლი, სუიციდი, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის სურვილის არქონა - ცული კვება და დასვენება, არასრულყოფილი ინტიმური ურთიერთობები და სხვ). ზოგიერთი ადამიანი ინტერნალიზებული ჰომოფობიის გამო თრგუნავს საკუთარ სექსუალურ ინტერესსაც, მიმართავს ასექსუალური ცხოვრების პრაქტიკას. ამის ნიადაგზე შეიძლება გაძლიერდეს ქრონიკული შფოთვა და დამაბულობა, ქვეითდება იმუნიტეტი, რასაც მიეყვარა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის განადგურებამდე.

დისკრიმინაციული ციკლის გაანალიზების საფუძველზე, დომინიკ დივიანის ვითაგაზობს ინტერნალიზებული ჰომოფობიის დაძლევის გზებს სხვადასხვა დონეზე. (6)

- * საკუთარი თავის მიღება ისეთად, როგორიც ხართ;
- * თვითბრალდების ტენდენციის გადალახვა როგორც საკუთარ თავში, ისე სხვებში;
- * იზოლაციის ნეგატიური შედეგების გაცნობიერება და გარემომოყვებთან ახლო ურთიერთობების დამყარება;
- * დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა (საკუთარი შეხედულებების ღიად გამოთქმა; ჩაგვრის ნეგატიური შედეგების ხაზგასმა - წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეიძლება ჩათვალოს, რომ თქვენ გაწყობთ ამგვარი მდგომარეობაში ყოფნა; დადებითი როლური მოდელის შექმნა და დემონსტრირება; დისკრიმინირებულთა მხარდაჭერა და სხვ).

სხვადასხვა სოციალური ფობიების კვლევისას მეცნიერებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მათი წარმოშობის შესაძლო წყაროების, გავლენებისა და ზემოქმედების მექანიზმის ახსნაში. თუმცა, მარტივი პასუხი იმაზე, თუ როგორ შეიძლება დაიძლიოს ეს ფობიები, არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევა, რომელიც სექსიზმის, რასიზმის, ანტისემიტისმისა და ქსენოფობიის სხვადასხვა ფორმების დაძლევაზე მიმართული, გვაჩვენებს, რომ ინდივიდუალური და სოციალური შემწყნარებლობის ხარისხი იზრდება განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად შეუქცევადია ეს პროცესები. ევროპასა და ამერიკაში რასიზმისა და ანტისემიტისმის ადვილს ისლამოფობია იკავებს, აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შიშს "იდეოლოგიური უცხო" მიმართ რელიგიური და ეთნიკური შეუმწყნარებლობა და ჰომოფობია ჩაენაცვლა. ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი ამ ფასეულობათა შენარჩუნებისათვის ზრუნვასა და უწყვეტ სამოქალაქო აქტივობას მოითხოვს.

ექვ ადვოკატ-სტილი

(1) European Parliament resolution on homophobia in Europe. P6_TA(2006)0018. 18 January 2006

(2) Gay Today. Vol. VIII. Issue 167. Interview with George Weinberg: Love is Conspiratorial, Deviant & Magical.

(3) Herek, G. M. (1990). The context of anti-gay violence: Notes on cultural and psychological heterosexism. *Journal of Interpersonal Violence*, 5, 316-333.

(4) Herek, G. M. (2000). The psychology of sexual prejudice. *Current Directions in Psychological Science*, 9, 19-22.

(5) Gutis, P.S., "Attacks on U.S. Homosexuals Held Alarminglly Widespread". *The New York Times*, p.A24, June 8, 1989)

(6) Herek, G.M. (1991). Stigma, prejudice, and violence against lesbians and gay men. In J. Gonsiorek & J. Weinrich (Eds.), *Homosexuality: Research implications for public policy*.

(7) ... ".....". M.2003

(8) Allport, G.W. (1954). *The Nature of Prejudice*. Reading, MA: Addison-Wesley.

(9)//.....(.....,). -. : 2001;



ჰომოსექსუალები და მესამე ხაზი

ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო სიმბოლოდ ვარდისფერი სამკუთხედის გამოყენებას თავისი ისტორია აქვს, რომელიც ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლას უკავშირდება. ბოშებთან და ებრაელებთან ერთად, ჰომოსექსუალები იმ "არასასურველ" ადამიანთა ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, ვის განადგურებასაც ნაცისტური რეჟიმი აპირებდა. გერმანიის კანონმდებლობის ერთ-ერთი მუხლში (175-ე პარაგრაფი), რომელიც ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს კრძალავდა, ჰიტლერის მიერ შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც იკრძალებოდა აგრეთვე კოცნა, ჩახუტება, ჰომოსექსუალური ფანტაზიები(!) და, რა თქმა უნდა, სექსუალური აქტივ. კანონის დამრღვევები ჯერ ციხეებში, სასჯელის მოხდის შემდეგ კი საკონცენტრაციო ბანაკებში იგზავნებოდნენ. გამოტანილი განაჩენი მათ სტერილიზაციას ითვალისწინებდა, რასაც ხშირად თან სდევდა კასტრაცია. 1942 წელს ჰიტლერმა გაამკაცრა სასჯელი ჰომოსექსუალური აქტისათვის და სიკვდილით დასჯა შემოიღო. სამწუხაროდ, ისტორიკოსებს არ უყვართ ამაზე საუბარი. ვარდისფერი სამკუთხედის სიმბოლო ეწინააღმდეგება ასეთ მიდგომას და არავის აძლევს ისტორიის დაიწყოების ნებას.(1)

მასალები, რომლებიც ნაცისტურ გერმანიაში ჰომოსექსუალთა მდგომარეობას ასახავდა პირველად 70-იან წლებში გამოჩნდა ჯეიმს სთიქლის სტატიების სახით (2). სტატიებში ავტორი ეხება გერმანულ ჰომოსექსუალთა ემანსიპაციის მოძრაობის ადრეულ სტადიასაც. ქვემოთ ვთავაზობთ ამ წერილების შემოკლებულ ვარიანტს.

ნაცისტურ გერმანიაში ჰომოსექსუალთა მდგომარეობის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. ზოგიერთი ისტორიკოსი გაკვრით ეხება ნაცისტური ელიტის "მიუღებელ საქმიანობას", რომელიც, სავარაუდოდ, "სექსუალური გადახრის მქონე ადამიანების" მიმართ არაადეკვატური იყო. თუმცა ასეთ ბრალდებებს, როგორც წესი, სათანადო ფაქტები და ანალიზი არ მოჰყვება ხოლმე თან. მკვლევარები უბრალოდ ცდილობენ თავი აარიდონ ამ თემას. დაწვრილებითმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ნაცისტები საზოგადოებაში არსებულ ჰომოფობიას ხშირად იყენებდნენ ინდივიდისა თუ ჯგუფის სახელის გასატყნად. ნაცისტები ბევრ რამეში სცოდავდნენ, მაგრამ მათი "მიუღებელი საქმიანობა" ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ ისეთივე დანაშაულია კაცობრიობის წინაშე, როგორც ებრაელების ან ბოშების გაგზავნა საკონცენტრაციო ბანაკებში.

ის, რომ ჰომოსექსუალები ასეთი დანაშაულებების მთავარი მსხვერპლი იყვნენ, ნახსენებია იმ პერიოდის შესახებ შექმნილ მხოლოდ რამოდენიმე ნაშრომში. ის ისტორიკოსები, რომლებიც ასეთ ფაქტებს აღწერენ, ცდილობენ, ლაპარაკი ნაცისტურ გერმანიაში არსებულ სხვა უმცირესობებზე გადაიტანონ, თუმცა ათობით და, შესაძლოა, ასობით ათასი ჰომოსექსუალი გაიგზავნა ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. ბანაკების პატიმართა იერარქიაში ისინი ყველაზე დაბალ ადგილებს იკავებდნენ და შევიწროვებას განიცდიდნენ როგორც ზედამხედველების, ასევე სხვა პატიმრების მხრიდან.

საკონცენტრაციო ბანაკის თითოეული ტუსადი ვალდებული ერთი შეხედვისთანავე ყოფილიყო ცხადი მისი დაპატიმრების მიზეზი. ბუნებრივია, ეს პატიმრებს შორის გარკვეული სოციალური იერარქიის ჩამოყალიბებასაც უწყობდა ხელს. მწვანე სამკუთხედს უბრალო კრიმინალური ელემენტები ატარებდნენ; წითელს - პოლიტა-



ტიმრები. ერთმანეთის გადამფარავი ყვითელი სამკუთხედები, რომელთა კომბინაციაც დავითის ვარსკვლავს ქმნიდა, პატიმრის ებრაულ წარმოშობაზე მიუთითებდა. ვარდისფერ სამკუთხედს ჰომოსექსუალები ატარებდნენ. დავითის ყვითელ ვარსკვლავზე გადაკრებული ვარდისფერი სამკუთხედი პატიმართა იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ჰომოსექსუალი ებრაელების ნიშანი იყო.(3)

სხვადასხვა მონაცემებით, ნაცისტური რეჟიმის ბატონობის განმავლობაში მოკლულ ჰომოსექსუალთა რიცხვი ორმოცდაათი ათასიდან ასი ათასამდე მერყეობს. ომის დასრულების შემდეგაც კი, ბანაკებში ძალიან ბევრი ჰომოსექსუალი აგრძელებდა სასჯელის მოხდას, რადგან 175-ე პარაგრაფი დასავლეთ გერმანიაში 1969 წლამდე დარჩა ძალაში. სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ ისინი, ვინც საკონცენტრაციო ბანაკს გადაურჩნენ, ცდილობდნენ დაემაღლათ ეს ფაქტი. ჰომოსექსუალებს უარი უთხრეს ნებისმიერ კომპენსაციაზე მაშინ, როცა სხვების მიმართ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ არაჩვეულებრივი გულუხეობა გამოამჟღავნა.

მესამე რაიხის ინსტიტუციონიზებული ჰომოფობია, განხილული უნდა იქნას იმ სექსუალური რეკოლუციის ფონზე, რომელიც გერმანიაში ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის წინა ათწლეულებში მოხდა. გეების მოძრაობა გერმანიაში ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში

13



ჰომოსექსუალები და მესამე ხაზი

არსებობდა, სანამ (ყველა სხვა პროგრესულ ძალებთან ერთად) გაანადგურებდნენ. ნაცისტებმა "კონსერვატიული რევოლუცია" მოახდინეს, რომელმაც კანონიერება და წესრიგი მეცხრამეტე საუკუნის სქესობრივ დისკრიმინაციასთან ერთად აღადგინა. მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის ვილჰელმ ფრიკმა, რომელიც ჰომოსექსუალებზე "უმოწყალო ნადირობის" გამოცხადებას ითხოვდა, შთამომავლების რიცხვის მიხედვით ქალების კლასიფიცირების სისტემა შემოიღო. ნაცისტური იდეოლოგია საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავდა ქალის როლსა და დანიშნულებას საზოგადოებაში, რომელიც "Kinder-Kitchen-Kirchen"-ით (ბავშვების-სამზარეულო-ეკლესია) ამოიწურებოდა. ქალები, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ ამ პირობას, ჰომოსექსუალებთან, ბოშებთან და ებრაელებთან ერთად ხვდებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში "ანტისოციალურობის" გამო (4).

ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ბიოლოგიური არგუმენტები ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ გეების ადრეული მოძრაობის მიერ შემუშავებულ თეორიებს ეყრდნობოდა. მაგნუს პირშველდმა და სამეცნიერო-ჰუმანიტარული კომიტეტის წევრებმა "მესამე სქესი" გერმანიაში მიღებულ ტერმინად აქციეს; მაგრამ მესამე რაიხის მკაცრად ჰეტეროსექსუალური საზოგადოება მოუთმენელი იყო "სქესთშორისი ვარიანტების" მიმართ და ტოლერანტობისაკენ ნებისმიერ მოწოდებას უგულბებდნენ. ცნობილი ნაცისტი იურისტი, დოქტორი რუდოლფ კლარე წერდა: "რადგანაც საეკლესიო/ქრისტიანული მოწყალების იდეა ჰუმანიზმზე მასონური შეხედულების საფუძველია, იგი მკვეთრად ეწინააღმდეგება ჩვენს ნაციონალურ სოციალისტურ მსოფლმხედველობას და ის აპრიორი უნდა უარყოფთ, როგორც ჰომოსექსუალთა დაუსჯელობის გამამართლებელი მიზეზი".

ჰომოსექსუალების წინააღმდეგ ნაცისტური ტერორის დასაწყისი 1934 წლის 30 ივნისს ერნსტ რომის მკვლელობით აღინიშნა; ამ თარიღს "გრძელი დანების დღე" ეწოდა. "რომი იყო ადამიანი, რომელმაც თავისი პოლიტიკური პოტენციალი ჰიტლერს პირველად 1919 წელს დაანახა და შემდგომი 15 წლის განმავლობაში ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. ამ პერიოდის განმავლობაში რომმა "SA"-ს კადრების უფროსის თანადგობას მიაღწია და ყავისფერპერანჯიანთა პოლიცია ხუთასიათასიან ეფექტურ საბრძოლო ძალად - ნაცისტური ტერორის შეუცვლელ იარაღად გადააქცია. ჰიტლერს რომის სამხედრო გამოცდილება და პირადი ლოიალობა სჭირდებოდა, მაგრამ იგი პირველ რიგში პრავმატიკოსი გახლდათ. რაიხსვერის მეთაურებთან, რომელთა მხარდაჭერაც ჰიტლერს ფიურერად გახდომაში დაეხმარებოდა, გარიგების ერთ-ერთი ნაწილი გერინგისა და ჰიმლერისათვის მიცემული რომისა და მისი ათუელობით ოფიცრის მკვლელობის ნებართვა იყო.

საზოგადოების და, განსაკუთრებით, "SA"-ს მალაჩინოსანთა დასაწყნარებლად, ჰიტლერმა თავისი საქციელი

რომის ჰომოსექსუალობით ახსნა. რაღა თქმა უნდა, ჰიტლერმა რომის ჰომოსექსუალობის შესახებ 1919 წლიდან იცოდა, ხოლო ფართო საზოგადოებისთვის ეს ფაქტი 1925 წელს გახდა ცნობილი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ნაცისტური პარტია მკაფიოდ გამოხატულ ანტიჰომოსექსუალურ პოლიტიკას ატარებდა და მრავალი ნაცისტი აცხადებდა, რომ რომი მთელ პარტიას უწყვედა დისკრედიტაციას, რის გამოც აუცილებელი იყო პარტიის რიგებიდან მისი მოშორება. თუმცა, ჰიტლერი გულმოდგინედ მფარველობდა მას, სანამ იგი სხვა, უფრო მნიშვნელოვან გეგმებს არ გადაელობა.



ნაცისტების პარტია ხელისუფლებაში 1933 წელს მოვიდა. ერთი წლის შემდეგ რომი ცოცხალი აღარ იყო. სანამ რომი და მისი ხალხი მიგზავნილი მკვლელების ალყაში იყვნენ (რომს შესთავაზეს პისტოლეტი და თავის მოკვლის შესაძლებლობა მისცეს, მაგრამ მან ჯალათებს მიამხა: "დე, ჰიტლერმა გააკეთოს თავისი ბინძური საქმე!"), ახალმა კადრების უფროსმა ფიურერისაგან პირველი ასეთი ბრძანება მიიღო: "მე "SA"-ს ყველა ლიდერისაგან მოველი, რომ ისინი ყველა საშუალებით გააძლიერებენ ორგანიზაციას და მას წმინდა და შეუბღალავ რეპუტაციას შეუნარჩუნებენ. მინდა, რომ ყველა დედას შეეძლოს, თავისი შვილი "SA"-ში, პარტიასა და ჰიტლერს იუვენდში გაუშვას და არ ეშინოდეს, რომ იქ იგი მორალურად გაირყვება. შესაბამისად, "SA"-ს ყველა მეთაურისაგან მოვითხოვ, ყველა ღონე იხმარონ და 175-ე პარაგრაფით განსაზღვრული ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენისას დამნაშავეთა დაუყოვნებლივი გარიცხვა უზრუნველყონ "SA"-ს და პარტიის რიგებიდან."

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(1) აღსანიშნავია ისიც, რომ დღესაც, საკმაოდ ხშირად ჰომოფობების არგუმენტებში სწორედ ნაცისტური რიტორიკა სჭარბობს. ჩვენი ჟურნალის მეხუთე ნომრიდან ვიწყებთ წერილების სერიას, რომელიც მესამე რაიხში ჰომოსექსუალთა მდგომარეობის გარდა, ამ თემასთან ზოგადად ტოტალიტარული რეჟიმის დამოკიდებულებაზე ვისაუბრებთ.

(2) James Steakley: *Homosexuals and the Third Reich, The Body Politic* 11, January/February 1974





გვი უჩვენებს მისი ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ოსკარ უაილდი დღემდე რჩება გვი საზოგადოების თავყანისცემის ობიექტად, რომელსაც წამებული გმირის შარავანდედიც ახლავს თან. მაინც რა განაპირობებს უაილდის ასეთ პოპულარობას?

გრემი მორისი, რომელიც უაილდის პოპულარობის მიზეზებს იკვლევდა გვი საზოგადოებაში, წერს: "უკეთეს შემთხვევაში, უაილდს უნებლიე წამებული უფრო შეგვიძლია ვუწოდოთ. ის ხომ იმისათვის დარჩა ინგლისში, რომ მარკიზ ქუინსბერისათვის "ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის" ეჩივლა. მისი და დუგლასის რეალური ურთიერთობების აღიარების ნაცვლად, სათანადო ფიცის მიცემის შემდეგ, მან სასამართლოზე ცრუჩვენებების კორიანტელი დააყენა და შეეცადა დაერწმუნებინა მსაჯულები, რომ ეს გრძნობები არასოდეს გადაზრდილა სექსუალურ ურთიერთობებში. ამ ლოგიკით, უაილდი ისეთივე წამებულია გვი უფლებების დაცვისათვის, როგორც ბილ კლინტონი - ჰეტეროსექსუალი მამაკაცებისათვის, რომლებიც ბოროტად იყენებენ თანამდებობას თანამშრომელ ქალებზე სექსუალური ზეწოლისათვის". (1)

ისტორიას ჰომოსექსუალთა დევნის უამრავი მაგალითი ახსოვს. თუ ჰომოსექსუალთა დასჯაზე საუბარი, ინკვიზიციის მიერ გამოტანილი განაჩენების გარდა, უფრო ახლო წარსულიც შეგვიძლია გავიხსენოთ - ათასობით ადამიანი,

რომელთაც საკონცენტრაციო ბანაკებში დაასრულეს სიცოცხლე. არანაკლებ ტრაგიკულია ალან ტურინგის (2) ბიოგრაფია, რომელიც უაილდისაგან განსხვავებით, ბოლომდე იცავდა სასამართლოზე თავს და ამტკიცებდა, რომ ის რაც ორ ზრდასრულ ადამიანს შორის ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე ხდება დაზურულ კარს მიღმა, ეს ამ ადამიანების პირადი საქმეა და სახელმწიფოს უფლება არა აქვს ჩაერიოს ამ ურთიერთობებში.

კონი უაილდის ასეთ პოპულარობას ჰომოსექსუალის, როგორც სოციალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესებს უკავშირებს: "ჰომოსექსუალთა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ იმისათვის, რომ ინდივიდუალური ფსიქო-სოციალური თავისებურებანი სოციალურ იდენტობად ქცეულიყო, საჭირო იყო საჯაროობა. XIX საუკუნის ბოლოს, ვიქტორიანულ ინგლისში ეს პროცესები საზიზღარი სკანდალებისა და სასამართლო პროცესების ფონზე მიმდინარეობდა. ოსკარ უაილდის სახელი პირველ ასეთ სასამართლო პროცესს უკავშირდება." (3)

ოსკარ უაილდი 1854 წელს დაიბადა დუბლინში. მამამისი ცნობილი ქირურგი იყო, დედა - მალალი წრის ქალბატონი, რომელსაც ლიტერატურული სალონი ჰქონდა, ირლანდიური ფოლკლორის ნიმუშებს აგროვებდა და თავდაც წერდა ლექსებს. გარემომ, რომელშიც უაილდი იზრდებოდა, დიდი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებასა და ცხოვრების წესზე.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ოსკარმა სწავლა ოქსფორდში გააგრძელა. დახვეწილი ესთეტიკისა და დენდის რეპუტაციის გარდა, რომლითაც უაილდი ოქსფორდში სარგებლობდა, მას იცნობდნენ როგორც კლასიკური ლიტერატურის სერიოზულ მკვლევარსა და ნიჭიერ პოეტს. მშვენიერების კულტმა, რომლის თავგამოდებული პროპაგანდისტიც გახდა ოსკარი, იგი ბურჟუაზიული ფასეულობების კრიტიკოსად აქცია. თუმცა, ეს ბუნტი წმინდა ესთეტიკური გახლდათ, რომელიც მყდაუნდებოდა არა მხოლოდ მის დახვეწილ ლექსებში, არამედ მის ეპატაჟურ ქცევასა და ჩაცმის სტილშიც. პირველად კულტურის ისტორიაში, ხელოვანი საკუთარ ცხოვრებას განიხილავდა როგორც ესთეტიურ აქტს. მოგვიანებით მას ფუტურისტებმაც მიბაძეს. თუმცა, ის, რაც XX საუკუნის დასაწყისში თითქმის ნორმად იქცა ბოჰემისათვის, ვიქტორიანული ინგლისისათვის დაუშვებელი იყო.

1881 წლის დასასრულს ის ამერიკაში გაემგზავრა, სადაც ის ლიტერატურაზე ლექციების კურსის

ოსახი უილი - "ბეოჰეის მახაფიზია"

წასაკითხავდ მიწვიეს. უაილდმა პირველმა ჩამოაყალიბა ინგლისური დეკადენსის პრინციპები, რომელიც მოგვიანებით თავის ტრაქტატებში დაამუშავა.

1890 წელს, ამერიკელი გამომცემლის დაკვეთით, უაილდი წერს თავის ყველაზე გახმაურებულ რომანს "დორიან გრეის პორტრეტი". მიუხედავად იმისა, რომ რომანში პირდაპირ არაფერია ნათქვამი ერთსქესიანი სიყვარულის შესახებ, წიგნში გამოთქმულმა სარკასტულმა ხუმრობებმა ვიქტორიანულ მორალზე საშინლად გააღიზიანა კონსერვატორი ინგლისელები. წიგნების გავრცელების მსხვილმა სააგენტომ უარი თქვა მის გავრცელებაზე წიგნის "ბინძური" შინაარსის გამო. 1893 წელს აიკრძალა უაილდის ფრანგულენოვანი პიესის "სალომეას" დადგმა ინგლისის თეატრებში. უხეობაში დადანაშაულებამ აქ უფრო სერიოზული სახე მიიღო, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე ბიბლიურ სიუჟეტს ეხებოდა. მაგრამ მთავარი სკანდალი, რომელმაც დაანგრია არა მხოლოდ მისი, როგორც მწერლისა და დრამატურგის კარიერა, არამედ მთელი ცხოვრება, ალფრედ დუგლასის სახელს უკავშირდება.

ცნობილი დრამატურგის ჰომოეროტიზმი ინგლისში დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა – მისი მანერები და მეგობრული კავშირები ბევრ მითქმამოთქმას იწვევდა ჯერ კიდევ მისი ოქსფორდში სწავლის პერიოდში. თუმცა, ლამაზი ბიჭებით გატაცებას ხელი არ შეუშლია უაილდისათვის კონსტანცია ლოიდზე დაქორწინებაში. 32 წლის ასაკში ხანმოკლე, მაგრამ მყარი კავშირის შემდეგ რობერტ როსთან (5), უაილდმა უარი თქვა ოჯახთან ერთად ცხოვრებაზე. სამაგიეროდ მას ხშირად ხედავდნენ მცირეწლოვანი (იმდროინდელ ინგლისში სრულწლოვანების ასაკად 21 წელი ითვლებოდა) პროსტიტუტების გარემოცვაში.

1893 წელს ოსკარს მისი ერთ-ერთი მხურვალე თაყვანისმცემელი, ლორდი ალფრედ დუგლასი გააცნეს. თავდაპირველად ისინი ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ, უაილდმა დუგლასს თავისი ლექსების კრებული და "დორიან გრეის პორტრეტი" აჩუქა მეგობრული წარწერით. შესაძლოა მათი ურთიერთობა ამაზე შორს არც წასულიყო რომ არა ერთი უხერხული დეტალი დუგლასის ცხოვრებაში. მისი ერთ-ერთი საყვარლის მშობლებმა "საეჭვო შინაარსის" წერილები იპოვნეს და დუგლასის შანტაჟირება დაიწყეს ფულის გამოძალვის მიზნით. ალფრედმა დახმარებისათვის უაილდს მიმართა. მწერალმა

ადვოკატის მეშვეობით გამოისყიდა დუგლასის წერილები შანტაჟისტებისგან.

ამ ამბის შემდეგ, ბოუზიმ (ასე უწოდებდნენ ახლობლები ალფრედს) უაილდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. დუგლასი, როგორც ჭეშმარიტი ნარცისი, ვერ იტანდა მართლობას, ვერც იმას, რომ მისთვის კუთვნილი ყურადღებას სხვებსაც უნაწილებდნენ. ამის გამო, უაილდმა ვერ შეძლო დაემთავრებინა ორი დაწყებული ტრაგედია. ბოუზის ეჭვიანობის გამო ვეღარ ახერხებდა ოჯახთან და ბავშვებთან დროის გატარებას, რომლებიც ძალიან უყვარდა.

ბოუზის სიყვარული ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა – უაილდი მზად იყო ყველაფერი დაეთმო ამისათვის, რესპექტაბელობა, ოჯახი, შემოქმედება. ბოუზის დიდი გავლენა ჰქონდა უაილდზე. თუმცა, საზოგადოება და დუგლასის ახლობლები უაილდს ადანაშაულებდნენ მშვენიერი და უმწიკვლო ყმაწვილის გარყვანაში.

საქმეში ბოუზის მამა ჩაერია. ლორდმა ქუინსბერმ, უაილდს წერილი გაუგზავნა, რომელშიც სოდომისტად და ბავშვების გამრყენელად მოიხსენიებდა. მეგობრებმა უაილდს ურჩიეს ყურადღება არ მიექცია შეურაცხყოფისათვის ან საზღვარგარეთ წასულიყო სანამ სკანდალი ჩაცხრებოდა, მაგრამ ალფრედის ზეწოლით, ოსკარმა გადაწყვიტა საქმე აღედრა ლორდ ქუინსბერის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის. ეს კატასტროფის დასაწყისი იყო. ბოუზისა და ოსკარის სასიყვარულო წერილების პირდაპირ ახსნაზე ბრალდება აცილებული იქნა, მაგრამ მოხუცი მარკიზის ადვოკატებმა სასამართლოს 13 მცირეწლოვანი პროსტიტუტის ჩვენება წარუდგინეს, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი იყო შეხვედრის ადგილები და დრო როცა უაილდი მათ ხვდებოდა. მწერალი ბრალმდებლიდან ბრალდებულად იქცა.

სასამართლოს პირველ სხდომაზე უაილდი გმირულად იცავდა თავს – ამტკიცებდა, რომ მისი ურთიერთობა დუგლასთან არასოდეს გადაზრდილა სექსუალურში. იგი ამ გრძნობას ახასიათებდა როგორც "სუფთა და კეთილშობილ გრძნობას ორ მამაკაცს შორის". მისმა სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინა პუბლიკაზე. მაგრამ უაილდმა ვერ შეძლო იგივე გაეკეთებინა, როცა საქმე მცირეწლოვან პროსტიტუტებს შეეხო. ქუინსბერი გამართლეს, უაილდის მიმართ კი საქმე აღიდრა. მეგობრები ოსკარს საფრანგეთში გაქცევას ურჩევდნენ, მაგრამ მან უარი თქვა. უაილდს ორწლიანი საკატორლო სამუშაოები მიუსაჯეს. დაიწყო ბინძური კამპანია

ოსხახი უაილდი - "ბეომოხვახის მახაფიზიხა"



სასამართლო პროცესი საკმარისზე მეტი პირობაა უაილდის პოპულარობის ასახსნელად გეი საზოგადოებისათვის. სხვა აზრისაა ცნობილი კრიტიკოსი და ესეისტი სუზან ზონტაგი, რომელიც კემპის ფენომენს იკვლევს და უაილდს მის ერთ-ერთ იდეოლოგად მიიჩნევს: (6) "ღენდი კემპის გამომგონებელი კი არა, პირველადმომჩენია. მათ პირველებმა გააცნობიერეს ის, უფრო სწორედ, მიხვდნენ, რომ ისინი თავად წარმოადგენენ კემპს. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ეს მკაფიოდ გაიგო და სხვებსაც გააგებინა, ოსკარ უაილდი იყო ("მე ჩემი საუკუნის კულტურისა და ხელოვნების სიმბოლო ვიყავი. მე ეს სიყმაწვილეშივე ვიგრძენი, შემდეგ, კი საუკუნესაც ვაიძულე ველიარებინე"). თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ კემპის ფენომენმა, მისმა კავშირმა ჰომოსექსუალურ სუბკულტურასა და ესთეტიკასთან დაუმკვიდრა გეებს ადგილი საერთო კულტურულ სივრცეში, უჩვეულოდ ადარ მოგჩვენებათ მისი პოპულარობა და კანონიზაცია გეი მოძრაობის გმირად.

(1) Graeme O. Morris. *The Importance of Being Wilde*. Queensland Bar News, May 2003

(2) ალან ტურინგი (1912 - 1954), ბრწყინვალე ლოგიკოსი, მათემატიკოსი და სკრიპტორაფი. ინფორმატიკის პიონერი, ხელოვნური ინტელექტის თეორიის ფუძემდებელი. ის 1952 წელს გაასამართლეს ჰომოსექსუალობის ბრალდებით. ის მთელი პროცესის განმავლობაში მტკიცედ იცავდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ორ ზრდასრულ ადამიანს შორის ნებაყოფილებითი კავშირი არ შეიძლება ითვლებოდეს დანაშაულად. სასამართლოს განაჩენით ტურინგს უნდა აერჩია ან ერთწლიანი სასჯელი ციხეში ან მკურნალობა (მაშინ ჰომოსექსუალობა დაავადებად ითვლებოდა). ტურინგმა უკანასკნელი არჩია და მას ჰორმონებით მკურნალობა დაუნიშნეს. დანიშნულმა მკურნალობამ ლიბიდოს დაქვეითების გარდა, სხვა მოვლენებიც გამოიწვია, რამაც ტურინგი სრულ დეპრესიაში ჩააგდო: გასამართლებიდან ერთი წლის შემდეგ მან ციანიდით მოიწამლა თავი.

(3) *ბ.ბ. ბბბ "ბბბბ ბ ბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბ (ბბბბბ ბბბბ ბბ ბბბბ)". M. 2003*

(4) როსი ყველაზე ერთგული მეგობარი აღმოჩნდა, რომელსაც არასოდეს მოუტოვებია უაილდი. ოსკარის სიკვდილის შემდეგ მისი ვალები გაისტუმრა და ფინანსურად ეხმარებოდა მის ოჯახს. სიკვდილის შემდეგ, როსის ვერფლი უაილდის საფლავზე დამარხეს პერ ლაშუზის სასაფლაოზე.

(5) *ბ. ბბბბბბბბ. ბბბ ბბბბბ ბ ბბბბბ. "ბბბბბბბბბბბბბბბბბ" 2004, N6.*

(6) Sontag, Susan (1964). *Notes on Camp in Against Interpretation and Other Essays*. NY: 1968

პრესაში. დაპატიმრების შემდეგ უაილდის სახელი გაქრა თეატრის აფიშებიდან, მის სახელს აღარავინ ახსენებდა.

ორწლიანმა კატორღამ და მუდმივმა პრესმა საზოგადოების მხრიდან უაილდი საბოლოოდ მოტეხა. 1997 წლიდან, განთავისუფლების შემდეგ, უაილდი სახელს იცვლის და საფრანგეთში გადადის საცხოვრებლად. XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესმა პოეტმა და ესთეტმა ცხოვრების ბოლო სამი წელი სრულ სიღარიბესა და მარტოობაში გაატარა. უაილდი 1900 წელს გარდაიცვალა პარიზში.

უაილდის სასამართლო პროცესმა ბევრი ინგლისელი გეი აიძულა საფრანგეთში ეძებნათ თავშესაფარი. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა ბევრად უფრო ლიბერალური იყო, მაღალი საზოგადოების მორალური ნორმები დიდად არ განსხვავდებოდა ვიქტორიანულისაგან. მეორე მხრივ, უაილდის პროცესმა, რომელზე მსჯელობაც ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა, "ცისფერი თემა" საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების მიღმა გამოიტანა. (5)

ერთი შეხედვით, ტრავიკული ბიოგრაფია, ლეგენდად ქცეული სიყვარული, გენიალობა, განმაურებული



ბანანსიხების ჰომობიზა ეპიზუდი და ანთიპიზა ჰინეპასობიხაფუი

დასავლურ კინოში უკვე წარმოდგენილია ავტორის შეზღუდვა ჰომოსექსუალობის თემის ჩვენებისას. წარმოდგენილია მის მიერ რაიმე სახის ქვეტექსტების მიხედვით მყურებლის გალიზიანების თავიდან აცილების მიზნით. ჰომოსექსუალური სიყვარულის ამსახველმა ფილმებმა კარგა ხანია მეინსტრიმში გადაინაცვლეს. მსოფლიოში მრავალი LGBT ფესტივალი და კინოფორუმი არსებობს. ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე კი 1987 წლიდან მოყოლებული სპეციალური ჯილდოც დააწესეს - TEDDY, რომელიც არა მხოლოდ სტიმულს აძლევს ვეი და ლესბოსელთა თემატიკით დაკავებულ კინემატოგრაფისტებს, არამედ ზილულს ზღის კინონდუსტრიაში ჰომოსექსუალთა მოღვაწეობას. საფესტივალო ცხოვრებაში მონაწილეობა თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია ჰომოსექსუალთა თვითშეფასების ასამაღლებლად და მათ მიმართ შიშის დასაძლევად. ადამიანთა შორის ბევრია ისეთი, რომელსაც ყოველთვის უჭირს ნებისმიერ ჯგუფთან ინტეგრაცია, ერთობის წევრად საკუთარი თავის აღქმა, მაგრამ კინოთეატრის ჩაბნელებულ დარბაზში ყოფნისას, ირაციონალური ვნებების მოძალების დროს, გრძნობ, რომ შენს გარშემო თავისუფალი ადამიანები სხედან და ისინი იმ ერთობას შეადგენენ, რომელსაც დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა, სანამ ევროპის რომელიმე პრესტიჟულ კინოფესტივალზე საკუთარ ადვილს იპოვიდა, იპოვნიდა ნიშანს, სადაც წაიშლებოდა ზღვარი „ჩემნაირსა“ და „შენნაირს“ შორის.

მოუხედავად იმისა, რომ მაღალი კლასის საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჰომოფობიის პრობლემის გადაჭრისათვის, ჯერ-ჯერობით დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი არსებობს ისეთი კინო, სადაც ავტორები ჰომოსექსუალებს არ სწყალობენ, სადაც ისინი შეიძლება აბრაზდ მოიხსენიონ ან დამამცირებელ კონტექსტში წარმოაჩინონ.

არსებობს სხვა პრობლემა - ინტერპრეტაციის ნაირგვარობის შესაძლებლობა. ნებისმიერი სახის ორპრობლემა რეჟისორის მხრიდან მომენტალურად იქცევა განხილვის და მწვავე დისკუსიის საგნად ხელისუფლებაზე ორიენტირებული ლგბტ ორგანიზაციებსა თუ დამოუკიდებელ კინოკრიტიკოსებს შორის. მაგალითად, ბრიტანელი რეჟისორის, რიჩარდ ეირის ფილმი „ჩანაწერები სკანდალზე“, რომელიც ბერლინის წლივანდელ კინოფესტივალზე ოფიციალურ კონკურსში იღებდა მონაწილეობას და პროგრამის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, კრიტიკოსებმა განსხვავებულად აღიქვეს. ერთ-ერთი მათგანი წერდა, რომ „ჩანაწერები სკანდალზე“ არის ყველაზე სექსისტური და ჰომოფობიური ფილმი, რომელიც კი ოდესმე უნახავს; ამიტომ ადამიანები, ვისთვისაც ლესბოსელობის აღქმა სირთულეს წარმოადგენს ფილმს სათოფეზე არ უნდა გაეკარონ. საქმე იმაშია, რომ ჰომოფობურად განწყობილ საზოგადოებაში მართლაც დიდი აღბათობაა მყურებელმა მთავარი პერსონაჟის ყველა უარყოფითი თვისება მის ლესბოსელობას მიაწეროს. „საზიზღარი ბებური ლესბოსელი“- ასე იხსენიებდა ფილმის დასასრულს ბარბარა კოვეტს ჩვენი მყურებლების ნაწილი, რომელმაც ფილმის პირატული ვერსია ინტერნეტიდან გადმოწერა. მათ შორის ისინიც, ვისაც ინტერნალიზებული ჰომოფობია ალაპარაკებდა.

ბარბარა კოვეტი (ჯუდი დენჩი) სკოლის მასწავლებელია. სიმკაცრის გამო მოსწავლეებს ის ნაკლებად უყვართ, მაგრამ უსიტყვოდ ემორჩილებიან. მასწავლებლების წრეში კი ჭკვიანი ქალის და კომპეტენტური



პედაგოგის რეპუტაციით სარგებლობს, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი ცინიზმის გამო, სიმპატიას არ იწვევს. ბარბარას ახალგაზრდა კოლეგა - შება ჰარტი (ქეთი ბლანშეტი) შეუყვარდება. ჯუდი დენჩის პერსონაჟის არასწორხაზოვნება ეპიზოდური იზრდება, ის უფრო და უფრო მეტ მიზეზს იძლევა გასაკიცხად, ფილმის დასასრულს კი ნამდვილ ფურცლს ემსგავსება, რომელსაც მხოლოდ ბოროტება მოაქვს ადამიანებისთვის.

კრიტიკოსთა ნაწილი იმაზეც გალიზიანდა, რომ ბარბარა არ ამხელს საკუთარ ჰომოსექსუალობას, რაც დისკრიმინირებულ მდგომარეობაში ამოფეხს მას. მაგრამ სწორხაზოვანი კრიტიკა არანაკლებ გამალიზიანებელია, ვიდრე ნებისმიერი ფილმი, რომელიც ჰომოფობიურ განწყობას იწვევს მყურებელში.

ცნობილია, რომ კინო მასაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღია, ამიტომ ბუნებრივია, როცა კინემატოგრაფისტები მას ჰომოსექსუალთა დასაცავად და საზოგადოების სრულყოფილებიან წევრებად წარმოსაჩენად იყენებენ. ფილმები, რომლებიც ამ ამოცანას ემსახურებიან, ხშირად ერთმანეთს გვანან.



ყველაზე სწორად ლგბტ თემატიკაზე შექმნილი ფილმების მთავარი ნაკლი მათი ორიენტირებულობაა მოცემულ თემაზე, ამბავზე. მსატრეულ ღირსებების უგულვებელყოფა მაყურებლის აღელვების მიზნით და ნებისმიერ ფასად მასზე ზეგავლენის მოხდენა ის მიზეზია, რის გამოც კრიტიკოსები, სწორად, ეჭვის თვალით უყურებენ გეი ან ლესბოსურ ისტორიებზე გადაღებულ სურათებს. ფილმში ასახული ისტორია ამავდროულად მაყურებლის საკუთარი გამოცდილებაა, ეკრანზე დანახული უსიამოვნო ამბავია, რომელიც მასაც გადახდომია. რა თქმა უნდა, ასეთ დროს ის ადვილად მანიპულირებადია და აღელვებულმა შეიძლება მსახიობის ყალბი თამაში ან რეჟისორის არაოსტატური ოინიც ვერ დაინახოს.

მართალია, ასეთ ფილმებში სიუჟეტური დეტალები განსხვავებულია, მაგრამ სწორად მთავარი გმირის ორი ტიპი იკვეთება. ერთი არის მებრძოლი ადამიანი, რომელიც დაპირისპირებულია მის მიმართ მტრულად განწყობილ საზოგადოებასთან და მეორე, ის ვინც არ უგუბა დისკრიმინაციას, მაგრამ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლის და ბედნიერების მოპოვების გამბედაობა არ ჰყოფნის. ჰომოფობურ გარემოში პროტესტის გამოხატვა და დაუმორჩილებლობა მეამბოხეს სწორად უჯდება საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდება. ასე ხდება კიმბერლი პირსის ფილმში „ბიჭები არ ტირიან“ (1999). ჰილარი სვონკის გმირი (თინა ბრენდონი) ბიჭად გადაცემული გოგოა, რომელსაც გოგონები მოსწონს და სქესის შეცვლაზე ოცნებობს. მას პოლიცია ეძებს, ამიტომ ყალბი საბუთებით სხვა შტატში გადადის საცხოვრებლად. ახალი მეგობრების წრეში ის ლამაზი და ფაქიზი ბიჭის რეპუტაციით სარგებლობს. რის გამოც აიძულებს თავის თავს ვაჟკაცის სტერეოტიპული იმიჯი შეიქმნას. მეგობრები მისგან სწორედ გმირობას, გამბედაობას და სხვადასხვა სიტუაციაში ვაჟკაცობის დამტკიცებას მოითხოვენ, მაგალითად რბოლაში მონაწილეობას, ცეცხლზე ხელის დიდხანს გაჩერებას...

მამაკაცად გადაცემის სერს ის არც მხოლოდ გოგონების მოსახიბლად მიმართავს, არც კაცების მტრული და აგრესიული სამყაროსგან თავდასაცავად. თინა ბრენდონი თვითიდენტიფიკაციას მამრობითი სქესის ადამიანად ახდენს. ამიტომ მკერდის შეკვრა, ფეხებს შორის ხელოვნური გენიტალის დამაგრება და თმის მოკლე ვარცხნილობა კამუფლაჟი კი არა მისი ბუნებრივი მდგომარეობის აუცილებელი ატრიბუტებია. ამერიკის პროვინციის კონსერვატორულ გარემოში ბრენდონი საკუთარი სქესის რეკონსტრუირებას ცდილობს.

ასეთი პიროვნება მართლაც არსებობდა. 14 წლის წინ, 19 წლის ასაკში ის ძალადობის მსხვერპლი გახდა. ისტორიის რეალურობა კიდევ უფრო ამძაფრებს მაყურებლის თანაგანცდას და მთავარი პერსონაჟის ისტორიის ტრაგიკულ პათოსს.

საიდუმლოს გამხელის შემდეგ ბრენდონის მეგობარი ბიჭები მას საშინლად უსწორდებიან. ბრენდონს თავის მართლება ჯერ მათ წრეში უწევს, ხოლო მას შემდეგ, რაც ბიჭები მას გაუპატიურებენ - პოლიციამიც. სამართალდამცავების თვალში ის ერთდროულად მსხვერპლიცაა და დამნაშავეც. ადამიანებთან ამორალურ ურთიერთობებში ყოფნა - ყველაზე გავრცელებული საბრალდებო დასკვნაა ამ და სხვა ფილმებში, სადაც ჰომო/ბი/ტრანსსექსუალთა უფლებების შელახვის ისტორიაა ასახული. საზოგადოებაში ბრენდონის არსებობით შეურაცყოფილი მამრების შურისძიება ჰილარი სვონკის პერსონაჟის გაუპატიურებით არ სრულდება. ღირსებაშელახული კაცები მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ. ფილმის ფინალი ნენსი ჩოლოროუს მოსაზრების პირდაპირი ილუსტრაციაა - ჰომოფობია აქაც მასკულიზაციის დაკვირვა და განმტკიცების საშუალებად გვევლინება. რაც უფრო მძლავრია ეს სურვილი, მით უფრო სასტიკ სახეს იღებს ბიჭების გადაწყვეტილება. როგორც ფილმის რეჟისორი, კიმბერლი პირსი ამბობს, გაუპატიურება ბრენდონის ქალად ქცევის ძალადობრივი გზა და სავარაუდოდ, მოძალადეების ფარული ეროტიზმის გამოვლინებაც იყო. როგორც კაცი, ბრენდონი მათზე ეფექტური იყო, მაგრამ მათ მასკულიზობას ორმაგი დარტყმა იმან მიაყენა, რომ ის გოგო აღმოჩნდა.

„ბიჭები არ ტირიან“ არ მიეკუთვნება იმ ფილმებს, რომელთაც მხოლოდ ჰომოსექსუალთა აუდიტორიაზე გათვლით ქმნიან. პირიქით, ფილმი სწორედ იმ მაყურებლებზეა გაანგარიშებული, ვისაც რეჟისორი ირაციონალური შიშის დაძლევის შესაძლებლობას აძლევს. ამავე ამოცანას ასრულებს ახალგაზრდა შვედი რეჟისორი გახმაურებულ ნამუშევარში „დამანახე სიყვარული“ (1999).

„დამანახე სიყვარული“ მცირებუფვეტიანი ფილმი იყო, რომელიც თავიდანვე არ ყოფილა გაანგარიშებული

ბანანსიხაბის ჰოლისიხა ეპიზოდი და აზიხიანი ჰინაბასობიხაფში



შვედეთის საზღვრებს გარეთ წარმატებაზე. შვედეთში შემოსავალმა ფილმზე დასარჯულ თანხას ათჯერ გადააჭარბა, ხოლო მეზობელ ნორვეგიაში, იმავე წელს, მაყურებლის დასწრების შედეგების მიხედვით მეორე ადგილი აჩვენა. მუდისონის სურათი შვედეთის მოსახლეობის მეთავე ნახა, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სექსუალურ ორიენტაციას კინომოყვარულების გადაწყვეტილებაზე - წასულიყვნენ თუ არა ორი გოგონას სიყვარულის შესახებ ფილმის სანახავად - არ უმოქმედია.

მითუმეტეს საუცხოოა ეს სტატისტიკა, როცა ფილმი არ მოიცავს პოპულარული ჟანრების ელემენტებს. მართალია, ფილმში ნახავთ თვითმკვლელობის სცენას, ბევრ ცრემლს და უსამართლო ქმედებებს მთავარი პერსონაჟის მიმართ - ყველა წესი მაყურებლის ასაღელვებლად თითქოს გამოყენებულია, მაგრამ ეს მხოლოდ ფასადია, რომლის უკანაც ლუკას მუდისონი მშვიდად ელოდება ფინალის კულმინაციურ ეპექსს. არც მელიოდრამა, არც ექშენი და მითუმეტეს თრილერი. მამ რატომ ნახა ფილმი ერთი წლის განმავლობაში 800 ათასი შვედმა? წესით ფართო მაყურებლისთვის ფილმი მოსაწყენი უნდა ყოფილიყო თავისი განუწყვეტელი დიალოგებით, ახლო ხედებზე აგებული კომპოზიციებით და მონტაჟით, რომელმაც ერთი შეხედვით შეუძლებელია ექსტაზი განაცდიდინოს მას. მაგრამ დასასრულს მაყურებელი მაინც გამოდის საკუთარი თავიდან და ერთი მღვდმარებიდან მეორეში გადადის. ეს არ გამოიხატება თვალისა და ცრემლის წამოსვლით, კინოთეატრის სავარძელზე წრიალით და ნერვიული დაძაბულობის მომატებით. რეჟისორის ძალიან მშვიდად მიყვას იგი იმ პოზიციამდე, საიდანაც ის არ აღმფოთდება, როდესაც საღამოს, სახლში მიმავალი, შემთხვევით გადააწყდება სადარბაზოში ერთმანეთს გადახვეულ ორ გოგონას ან ორ ბიჭს.

ლუკას მუდისონი მიმართავს მშობლების აუდიტორიას

და შვილების მიმართ ლოიალურობისკენ მოუწოდებს. ეს აუდიტორია ევროპაში გაცილებით მრავალრიცხოვანი და მიძღვნილი აღმოჩნდა, ვიდრე ამერიკაში, სადაც ფილმზე ასაკობრივი ცენზი დააწესეს (17 წლამდე შეზღუდვა) და მხოლოდ დიდ ქალაქებში წარმოადგინეს. როგორც „ქუიფსთერს მუვი რევიუს“ მიმოხილველი წერს, „ფილმი აშშ-ს გარკვეულ ჯგუფებში რომ ეჩვენებინათ, სავარაუდოდ, ისინი კინოთეატრს ან ტელევიზიას, რომელიც ამ ფილმს გაუშვებდა, ცეცხლს წაუკიდებდნენ. აქედან ბევრი ფილმის ნახვის გარეშეც გააკეთებდა ამას“. არადა ქამინგ-აუთის ამ უპრეტენზიო ისტორიაში არც ერთი შიშველი სცენა არაა და გოგონებიც ორად ორჯერ კონიან ერთმანეთს. შვედური პროდუქციის ამერიკაში ეკრანებზე გაშვებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ამერიკული საზოგადოების პურიტანიზმი, აგრეთვე განსხვავება გამოხმაურებებს შორის საზოგადოებასა და კინოკრიტიკაში.

სიუჟენ ზონტაგი თავის ესეში კემპის შესახებ წერს, რომ 60-იან წლებში ამერიკის კულტურულ ავანგარდში ჰომოსექსუალები იდგნენ. მას შემდეგ ამერიკაში ბევრი რამ შეიცვალა, რაც უფრო ღია და დემოკრატიული ხდება იგი ზედაპირული თვალისთვის, მით უფრო მეტი ინტელექტუალი წუწუნებს, რომ ამერიკა, რომელსაც ისინი ათეულობით წლების განმავლობაში ქმნიდნენ, თავზე ექცევთ. კინემატოგრაფს დიდი ძალა აქვს, მაგრამ არა იმდენად, როგორც ეს ხშირად რეჟისორებს წარმოუდგენიათ. საზოგადოების მიმდევობას პოზიტიური ცვლილებებისადმი (თუკი ასეთი სასაცილო ცნება არსებობს) გამაკეთილშობილებელი კინემატოგრაფის „ჯადოსნური“ ძალა ნაკლებად განაპირობებს და ისიც მხოლოდ იმ დროს, როცა ზუსტად ერგება დროის, ადგილისა და გარემოების კანონს.

თუმცა, არსებობს გამონაკლისების კანონზომიერებაც. მაგალითად 1993 წელს ტაივანელი რეჟისორის ანგ ლის ფილმი „საქორწინო ბანკეტი“ (წარმოშობით ტაივანელი ამერიკელი ჰომოსექსუალის ისტორია, რომელსაც მშობლები ცოლის მოყვანას აიძულებენ) ოსკარზე იყო ნომინირებული. ხოლო 2005 წელს მისივე ფილმმა „უკუზიანი მთა“ ამერიკის კინოაკადემიის მოწონება დაიმსახურა და ოსკარიც მოიპოვა საუკეთესო რეჟისურისთვის. ფსევდოდემოკრატიულ გარემოში ჯილდოებასხმულ კინემატოგრაფიული მენისტრის მთერ გამონაკლისების დაშვება უთუოდ ქსენოფობიის დაძლევის მცდელობაა. სწორედ ასეთი მცდელობები უწყობენ ხელს საზოგადოების პომოფობიურად განწყობილ ნაწილსა და სექსუალურ უმცირესობას შორის იმ სივრცის შექმნასა და გაფართოებას, რომელიც აწონასწორებს მათ ურთიერთობებს.

ნინო ძანძაძე

EDITORIAL

Due to two reasons the main topic of the issue is homophobia. First, May 17th is marked as the International Day Against Homophobia (IDAHO). Secondly, June 1st in 2007 marked the 7th anniversary of decriminalization of homosexuality in Georgia. Thus, by selecting the topic of homophobia, we wanted to contribute to the global efforts to celebrate this important date.

NEWS

Georgia and the World at glance

Georgian news digest covers main developments in the second quarter of the current year. This section provides coverage of anti-homophobia campaign that was implemented through public discussions, radio and TV talk shows, dissemination of visibility material, screening movies etc.

Other important news covered in the section include: health component, new initiatives within women dimension and acquiring support for publication of study reports conducted. One part of the section briefly touches upon the scandalous information fallaciously promoted by Georgian media regarding a plan to hold the first gay pride celebration in Tbilisi.

International section covers important international developments such as granting consultative status to the two LGBT organizations from Sweden and Canada (Quebec), Judgment of ECHR on banning Warsaw pride back in 2005, threats to terminate Lambda Istanbul operation, etc.

RIGHTS:

This section offers an analysis of ILGA-Europe data on countries that criminalize homosexuality. State sponsored homophobia has many faces. It varies from definition of the crime act to the necessary conditions for giving testimony and to the measures and methods of the punishment. As it can be seen, analysis of some cases gives rather unusual findings.

HEALTH:

Traditionally, Centre Tanadgoma contributes through information useful to follow a healthy lifestyle. This

time, information about prevention means for safer sexual practices is provided. This is an important piece of information for the community as most of these means are often inaccessible if not unknown for the members of the community.

HOMOPHOBIA FILE:

In this section Inclusive Foundation offers an actual story behind the hysteria about gay pride parade "planned" in Tbilisi. The flimsy information fabricated by Georgian media provoked three anti-pride protest events, dozens of homophobic articles in printed media and plots composed and promoted by TV stations.

We decided to respond to this hysteria as it went beyond any imaginary limits, made the Head of Georgian Orthodox Church condemn nonexistent gathering, and Russian journalists to assume that Georgian President here too, challenges his Russian counterpart by supporting a demonstration of sodomites in Tbilisi. Consequently, Council of Europe's campaign "All Different, All Equal" activities not even remotely linked with anything that may have been dubbed as 'gay pride', was still cancelled.

STUDY

In this section you will find answers to the questions on what is homophobia? How does it occur? Who does homophobia claim as its' victims?

HISTORY

Third Reich: The most vivid and horrifying story of state sponsored homophobia that makes all LGBT activists work even harder not to allow it happen again.

ARTS & CULTURE

Oscar Wilde: Homophobia makes people blind; they cease noticing anything about a person but his/her sexual orientation. This is a well known story of Oscar Wilde - enhanced with new details for a post-soviet reader.

Homophobia from the screen. Number of films are reviewed with the purpose to identify main trends and occurrences of homophobia in the cinema.

PHOBIA

ᑭᓂᑦᑭᓂᑦ

